



ახალი პენათლევა

26.09-02.10.2019

№28 (862) ბაზოლის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



გვერდი 2

სჭირდება თუ არა სისტემას სკეპსნავლებელი

⇒ სამი მთავარი ჰომბლემა აქვს დღეს ჩვენს ქვეყანაში ინ-
ტელუიუხი განათლებას – მნიიხი ბიუჯეტი, დაბალი ჯომპეტენ-
ცია და სოციალური განათლების ნაქლებობა.

⇒ ჯანონში ჩანეილი ხეხესოთახის საჭიომება მხოლოდ
ფუხეცლებუ დანეილი ახ ენდა დახჩეს.

⇒ სპეცმასნავლებლის ჰომფესიური განვითახების სქემა, ძი-
ხითადი ჰინციპით, მასნავლებლის ჰომფესიური განვითახე-
ბის სქემის მსგავსია, მაგჩამ მასნავლებლის სქემისგან გან-
სხვავებით, სამსაფეხეხიანი იქნება, დაინყება ყველაზე და-
ბალი საფეხეხიდან – ჰიქციკოსი სპეცმასნავლებლიდან და
ავა ზედა საფეხეხეზე. შუა საფეხეხის ეფხოსი ექიმევა
(ვყლილობთ, ახ ავყდეთ მასნავლებლის სქემის ტეხიმონლო-
გიას) და ამ საფეხეხიზე გადასვლა გამოყდით მოხდება.

საილომე ჩახხვიანი

ჰახდამენცს ნახედგინა ჯანონჰომეტი, ხომლის მიხედვით, ოყეპიხებუდ ტეხიკოიხებუ
მცხოვხები ყველა აბიკეხიენტი, ხომელიც ეხითან ეხომენდ და საეხთომ სამაგისტომ გამოყ-
დებზე დახეგისტეიხიებული იყომ, მაგჩამ აფხახეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიეხ ენგეხის
ხიდზე მდებახე ე.წ. სასაზლოჰომ გამშვები ჰუნქის ჩაეეკვის გამომ, ვეხ შექლო 2019 წლის
ეხითან ეხომენდ და სამაგისტომ გამოყდებში მონანნიღობა, მისთვის სასეხვედ სახედმნი-
ფომ ემალღეს საგანმანათლებლო დანესებულებებში სასეხვედ საბაქაღავხომ/სამაგისტომ ჰომგ-
ხამებზე გამოყდების გაეეშე ჩაიიციხება. გაედა ამისა, სახედმნიფომ სეეღენტის სნავდას
სეეღად დააფინანსებს. 2019 წელს გამოყდებზე ასეთი 201 აბიკეხიენტი დახეგისტეიხიდა.

შესაბამისი ცვლილებები „ემალღესი განათლების შესახებ“ ჯანონში აისახება.



რეპორი რაჭის სამი სოფლის სკოლები ლაზოკატორიებით ალიჭურვა



გვერდი 4

სამოღალო გაკვეთილი

შაქსაეხი
ქაღაქაყაყესთარანხი
ყიოღ რარაყიოღი
ხანრაეხინ იყაროგეხი
მარქემასთიქსაეხი
იოსოცეიოღი სქესა
9
გვ. არეაეხანხი
იასააყლანღ



ახს-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში იწყებს სკოლების განაცხადების მიღებას 2020-2022 წლებში

Peace Corps მოხალისეთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ცხრამეტი წელია, წარმატებით ასრულებენ განათლების პროექტს საქართველოში რეგიონებში. კონკურსში მონაწილე სკოლები ამერიკელი ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ 2020-2022 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შვილები რეგიონებში: კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (გუდაურის ჩრდილოეთით განლაგებული დასახლებების გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებსა და ქალაქებს სკოლებს,

რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ხუთკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამხარჯი 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისეთან თანამშრომლობით 2020-2022 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე:

<https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/>

შეავსეთ და მოგვაროდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი № 29ა, თბილისი, 0160, ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე:

education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 21 ოქტომბერი, 2019 წელი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ✓ ასმათ სინარულია განათლების პროგრამის ხელმძღვანელი ტელ: 595906444;
- ✓ თეო ნეფარიძე განათლების პროგრამის ხელმძღვანელი ტელ: 591969881;

- ✓ ია გელაშვილი განათლების პროგრამის ხელმძღვანელი ტელ: 595950406;
- ✓ ნინო ფიროსმანიშვილი პროგრამის და ტრენინგების სპეციალისტი ტელ: 595027979.

მიაღწევთ თვალი ჩვენს ფინსუქპვერდს: Peace Corps Georgia

ინკლუზიური განათლება

სჭირდება თუ არა სისტემას სპეცმასწავლებელი – სამი მთავარი გამოწვევა ინკლუზიურ განათლებაში

განათლების რეფორმა მეტ-ნაკლებად შეეხოს ამ სფეროში დასაქმებულ ყველა კატეგორიას, რაც პირველ რიგში, მათი მათერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მცირედით, მაგრამ მაინც აისახა. თუმცა, სისტემას ჰყავს ყურადღების მიღება დარჩენილი ერთი რგოლი, რომლის ვერც პროფესიულ განვითარებაზე და ვერც მათერიალურ გაუმჯობესებაზე ჯერ ვერ იზრუნა. ეს სპეცმასწავლებელია, თუ არ ჩავთვლით კანონს, რომელმაც მას მასწავლებლის სტატუსი მიანიჭა, დაპირება წელსაც მხოლოდ დაპირებად დარჩა, რომ სხვა, დანარჩენ კატეგორიებთან ერთად (წინა პრემიერ-მინისტრის დაპირებით, შემოდგომიდან) გააუზრუნოებინათ ხელფასი. რამდენი დღეს სპეცმასწავლებლის ხელფასი? – 300 ლარი; რამდენი სპეცმასწავლებელი ჰყავს სისტემას? – დაახლოებით 1300; რამდენი სკოლაა ჩართული ინკლუზიურ განათლებაში? – ფაქტობრივად ყველა. ამ მიმართ სტატისტიკის მიღება სპეცმასწავლებლები მაინც ახერხებენ ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში წვლილის შეტანას, მაგრამ როგორ? ამაზე პასუხის გაცემა თვითონაც გაუჭირდებათ. ყველაფერს ისიც ემატება,

რომ სკოლებში სპეცმასწავლებლის სერიოზული დეფიციტია.

რატომ ვერ შეძლო სპეცმასწავლებლის 1300 მასწავლებლის შრომის დაფასება და მისი გათანაბრება, თუნდაც, პრაქტიკოს მასწავლებლებთან? რატომ ვერ იზრუნა სისტემამ მათ პროფესიულ განვითარებაზე? ამ კითხვებზე პასუხი აინტერესებს ყველას, მათ შორის, იმ ადამიანებსაც, რომლებიც უშუალოდ, ამ მასწავლებლებს საგანმანათლებლო პროცესში მხარდაჭერაზე ზრუნავენ. „რატომ ვერ შეძლო სპეცმასწავლებლებს აქამდე ამის გაკეთება, ამაზე პასუხი არც მე მაქვს და ძალიან კარგი იქნება, თუკი ვინმე გვიპასუხებს. მაგრამ იმედი მაქვს და სამინისტროსგანაც გვამის დაპირება, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდება, რომ ახი ყველაფერი სხვანაირად იქნება. ველოდებით ამ დაპირების შესრულებას.“ – ამგვარ ინტერვიუში მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი სალმე ჩარკვიანი და საუბრობს უახლოეს პერიოდში დაგეგმილ სიახლეებზე – როგორი იქნება სპეცმასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა, რომელიც მათ მათ-



რეალურ ანაზღაურებასაც გაზრდის. ჩვენთან საუბრისას ის ინკლუზიურ განათლებაში სამუშაოზე პრობლემად – მცირე ბიუჯეტს, დაბალ კომპეტენციას და სოციალური განათლების ნაკლებობას ასახელებს.

– რა სიახლეებით იწყება ახალი სასწავლო წელი სპეცმასწავლებლებისთვის?

– უახლოეს მომავალში დამტკიცდება სპეცმასწავლებლის ახალი სტანდარტი, რომელიც უფრო დეტალურად, განახლებული ფორმით, სთავაზობს სპეცმასწავლებლებს, თუ როგორ იმუშაონ და განვითარდნენ. თუმცა, მანამდე, მათთვის სიახლე გვაქვს ის, რომ წელს დამტკიცდა ალტერნატიული სასწავ-

ლო გეგმა, რომელიც განკუთვნილია ღრმა ინტელექტუალური დარღვევისა და მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებისთვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, აქამდე მასწავლებლები აკეთებდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უფრო გამარტივებით. რეალურად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ესგ-ს მოდიფიცირება/სახეცვლილებაა. სამწუხაროდ, მიმდევ-

ნებრივი ჩამორჩენის მქონე მოსწავლეებისთვის ვერ ხერხდება ეროვნული სასწავლო გეგმების მიზნების გამარტივება, ამიტომ მასწავლებლები იძულებული იყვნენ, ეროვნული სასწავლო გეგმიდან მთლიანად ამოეღოთ ის მიზნები, რომელსაც ფიქრობდნენ, რომ ბავშვი ვერ მიიღწევდა. მის ნაცვლად, მასწავლებელმა უნდა იმუშაოს ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. მაგალითად,

თუ მოსწავლეებს, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, „ბუნებაში“ შესასწავლი აქვთ გარე სამყარო ან პლანეტები, რაც არ უნდა გავუმარტივოთ გაკვეთილი, შესაძლოა, სსმ ბავშვის რესურსი მაინც არ აღმოჩნდეს საკმარისი მის დასაძლევად. ამიტომ უმჯობესია, მას მხოლოდ ის ინფორმაცია მივანდოლოთ, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული მის შესაძლებლობასთან და გამოადგება და-

ინკლუზიური განათლება

მოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ფაქტობრივად, მოსწავლე იღებს მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნას და არა თეორიულს. ალტერნატიული სასწავლო გეგმა სწორედ ამას გულისხმობს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მოდიფიცირება და ცვლილება კი არ ხდება, არამედ ამ მიზნების მთლიანად ამოღება და იმ მიზნებით ჩანაცვლება, რომელიც მათ საჭიროებს ერგება. შემდეგ სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც ამ ალტერნატიული გეგმის მიხედვით აიგება. რეალურად, ალტერნატიული სასწავლო გეგმა სპეცმასწავლებლებს გაუმარტივებს მუშაობას, რომ მოსწავლის მიზნებზე უფრო მეტად ორიენტირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეადგინონ და სახელმძღვანელოს გარდა, თემატურად და კონკრეტულად ის ასწავლონ, რაც მოსწავლეს სჭირდება.

– სპეცმასწავლებლები ხშირად სახელმძღვანელოების გამოც ჩვიან, არსებობს თუ არა მათთვის სპეციალური სახელმძღვანელოები და რა მიმართულებით? – განათლების სამინისტრომ გააკეთა საიტი inclusion.ge, სადაც თავმოყრილია მასალები სპეციალური განათლებისთვის.

– ძალიან დიდი ინტერესია სპეცმასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მიმართ, როგორი იქნება და როდის ამოქმედდება?

– ბუნებრივია, სქემის დამტკიცებამდე, გარკვეული დეტალები შეიცვლება, ამიტომ გამჭვირდება მტკიცებით ფორმაში იმაზე საუბარი, თუ როგორი იქნება სქემის საბოლოო ვარიანტი. თუმცა, დაზუსტებით შემოძლია გითხრათ, რომ, ძირითადი პრინციპით, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მსგავსია, დაყოფილია სხვადასხვა დონეებად – საფეხურებად და, მასწავლებლის სქემისგან განსხვავებით, სპეცმასწავლებლის სქემა სამსაფეხურიანი იქნება. დაიწყება ყველაზე დაბალი საფეხურიდან – პრაქტიკოსი სპეცმასწავლებლიდან და ავა ზედა საფეხურებზე. შუა საფეხურს უფროსი ერქმევა (ცვდილობთ, არ ავცდეთ მასწავლებლის სქემის ტერმინოლოგიას) და ამ საფეხურზე გადასვლა გამოცდით მოხდება. დაგეგმილია, რომ შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი პრაქტიკოსი სპეცმასწავლებლებისთვის 2020 წლის ზაფხულში ჩატარებს გამოცდას. აქედან გამომდინარე, პრაქტიკოსი სპეცმასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გახდნენ უფროსი სპეცმასწავლებლები. მესამე, ყველაზე მაღალი საფეხური სპეცმასწავლებლისთვის, სხვადასხვა მოთხოვნისა და აქტივობების შესრულების შედეგად იქნება მისაღწევი. ამის გარდა, დადგინდება, რა კვალიფიკაცია მოეთხოვება მეორე ან მესამე საფეხურის სპეცმასწავლებელს, რასაც დოკუმენტი დაარეგულირებს.

ჯერჯერობით, სქემით მხოლოდ ერთი გამოცდა მოიაზრება (თუ რამე არ შეიცვალა) და მისი ჩაბარება მხოლოდ პირველიდან მეორე საფეხურზე გადასვლელ სპეცმასწავლებლებს მოუწევთ.

– როგორ ფიქრობთ, 2020 წელს, სისტემას ეყოლება მეორე ან მესამე საფეხურის სპეცმასწავლებელი?

– მათ, ვინც განათლების კვალიფიკაციით დაადასტურებს სქემის მოთხოვნებს, პირდაპირ მეორე ან მესამე საფეხურის სტატუსს მივანიჭებთ, სქემის ამოქმედებისთანავე.

– რა აქტივობები და კვალიფიკაცია მოეთხოვებათ, თუ ამ დეტალებზე საუბარი ნაადრევია?

– ამაზე ჯერჯერობით კამათი და განხილვა მიმდინარეობს. ვის ჩაეთვლება დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია უფროს მასწავლებლად გასახდომად და ვის მოუწევს გამოცდის ჩაბარება, საბოლოოდ არ არის დადგენილი. დიდი ალბათობით, სქემა საშემოდგომო სესიაზე დამტკიცდება და იანვრიდან ამოქმედდება, გამოცდა კი ზაფხულში დაინიშნება.

– სქემის ამოქმედებამდე და სტატუსის ამაღლებამდე, გაიზარდება თუ არა სპეცმასწავლებლის ხელფასი? შესრულება თუ არა ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაპირება?

– რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, სპეცმასწავლებლის ხელფასის მატება 2019 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, შემოდგომამდე სპეცმასწავლებლებს ხელფასი არ მოემატებათ. თუმცა, თუკი 2020 წელს, რომელიმე სპეცმასწავლებელი სტატუსს აიმაღლებს, სქემის ამოქ-

მედებისთანავე მას ხელფასი მოემატება.

– რა კრიტერიუმით აიყვანს სკოლა სპეცმასწავლებელს სქემის ამოქმედებამდე და სქემის დამტკიცების შემდეგ? მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, სკოლას პრაქტიკოსი მასწავლებლის აყვანა არ შეუძლია. როგორ იქნება სპეცმასწავლებლის შემთხვევაში?

– ჯერჯერობით, სქემის ამოქმედებამდე, ამ მიმართულებით არაფერი შეიცვლება და იმ მოთხოვნების საფუძველზე შევა მასწავლებელი სკოლაში, როგორც აქამდე ხდებოდა. თუმცა, კანონის ამოქმედების შემდეგ, სურვილი გვაქვს, რაღაც ეტაპზე პრაქტიკოსი სპეცმასწავლებლის საფეხურიც გახდეს მიღვეადი. რაც იმას ნიშნავს, რომ, პირველ რიგში, ამისთვის მზად უნდა ვიყოთ – შეიქმნას და გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მოამზადებს პროფესიონალ სპეცმასწავლებელს, რომ კადრი სკოლაში პირდაპირ უფროს სპეცმასწავლებლად შემოვიდეს. ვიდრე არ იარსებებს ასეთი საგანმანათლებლო პროგრამები, ალბათ, ასეთი ცვლილების განხორციელება შეუძლებელი იქნება. იცით, რომ ფუნქციონირებს სპეცმასწავლებლის 120-საათიანი კურსი, მაგრამ ეს კურსი არ არის იმის პირობა, რომ ის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადავიდეს, ეს მხოლოდ მინიმალური კომპეტენციის შესაშვებლადაა საკმარისი. 120 საათით, ანუ 6 კრედიტით როგორ შეიძლება მასწავლებელს მისცე უფლება, ერთი საფეხურიდან მეორეზე გადავიდეს. მას აუცილებლად სჭირდება შესაბამისი განათლება.

– დღევანდელი კანონმდებლობით, ვინ არის სპეცმასწავლებელი და რა კვალიფიკაცია მოეთხოვება მას?

– კანონით განისაზღვრება, რომ სპეცმასწავლებელი უნდა იყოს მასწავლებლის კომპეტენციის მქონე პირი. ველოდებით კანონში ცვლილებას, რომელიც საშუალებას მისცემს სხვა პროფესიის ადამიანებსაც, მონათესავე დარგებიდან, მაგალითად, ფსიქოლოგებს, სოცმუშაკებს და ა.შ., გახდნენ სპეცმასწავლებლები. როდის იგეგმება ცვლილება, ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, ეს სამინისტროს პერსონალია.

– შარშან, სასწავლო წლის დასაწყისში, სპეცმასწავლებლობის პოზიციიდან ფსიქოლოგების გათავისუფლებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამას მოჰყვა სკოლებში სპეცმასწავლებლის დეფიციტი. რა მდგომარეობაა ახლა – ჰყავთ თუ არა სკოლებს ფსიქოლოგები?

– ფსიქოლოგები არიან რიგ სკოლებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ყველაში. როგორც განისაზღვრა, სისტემაში ყველა სკოლა, ვისაც სსსმ მოსწავლე ჰყავს, აუცილებლად უნდა ჰყავდეს სპეცმასწავლებელიც. შემდეგ, სწორედ ის ადგენს სკოლის საჭიროებას, რომელი სპეციალისტი სჭირდება – ფსიქოლოგი, ფსიქოლოგი ენის სპეციალისტი თუ სხვა მიმართულების კადრი. საჭიროების დადგენის შემდეგ, სკოლა ვალდებულია, აიყვანოს ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტები. თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი ეკონომიას აკეთებენ და სპეცმასწავლებლებს ეუბნებიან, რომ მათ შესარულონ ეს ფუნქცია, წინააღმდეგ შეთხვევაში, თუ ფსიქოლოგს აიყვანენ, მაშინ სპეცმასწავლებელი აღარ დასჭირდებათ, რადგან ისინი შეასრულებენ მათ ფუნქციას.

– დღევანდელი მონაცემებით, სისტემას, დაახლოებით, 1300 სპეცმასწავლებელი ჰყავს. ეს ის რესურსია, რაც სკოლებს სჭირდებათ თუ კადრების დეფიციტია?

– რა თქმა უნდა, დეფიციტი გვაქვს. რიგ რაიონებში გამოცხადებულია ვაკანსია, მაგრამ კადრები ვერ აპყავთ იმის გამო, რომ კონკურსში მონაწილე პირები საერთოდ აცდენილი არიან ამ პროფესიას – არ გააჩნიათ სპეცმასწავლებლისთვის საჭირო კომპეტენცია, ან აპყავთ ისეთი კადრები, რომლებსაც სერიოზული მხარდაჭერა სჭირდებათ. ასეთ მხარდაჭერას კი სახელმწიფო ვერ უწევს. ჩვენ კი მაქსიმალურად ვცდილობთ 120-საათიანი ტრენინგის ჩატარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენც შეზღუდულები ვართ ამ მხრივ.

– მართალია, საუბრისას ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი, მაგრამ მაინც გკითხავთ, რა არის დღეს ინკლუზიური განათლების ყველაზე დიდი გამოწვევა ჩვენს ქვეყანაში?

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ინკლუზიური განათლება ძალიან ძვირი ფუფუნებაა და ამისთვის სკოლებს საკმარისი თანხები არ აქვთ. სკოლებს, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის ადაპტირებული ტრადიციული, ერთ პანდუსს გააკეთებს სკოლა და ჰგონია, რომ ბავშვი იქ კარგად იგროვებს თავს. ეტლით მოსარგებლებებისთვისაც კი არ არის ყველგან ადაპტირებული გარემო. გარდა ეტლით მოსარგებლებისა, უსინათლოებს, სმენადაქვეითებულებსაც სჭირდებათ შესაბამისად ადაპტირებული გარემო, მარტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად რამდენი თანხაა საჭირო.

მეორე მხრივ, დიდი პრობლემაა კომპეტენტური კადრი. რამდენი ფულიც არ უნდა მომცეთ, დღეს ვერ აიყვან 1500 კვალიფიციურ სპეცმასწავლებელს იმიტომ, რომ არა გვაქვს ისეთი საგანმანათლებლო ფონი – საგანმანათლებლო პროგრამები, რომ აძლენი კვალიფიციური კადრი ვიპოვოთ. ფაქტობრივად, უნივერსიტეტებში აქამდე არც არსებობდა შესაბამისი პროგრამები. ერთ უნივერსიტეტს ჰქონდა და ისიც უმცირესი რაოდენობით ამზადებს კადრებს, დანარჩენ უნივერსიტეტებს კი, რომლებიც ამ მიმართულებით მოუზოავენ, კომპეტენციის პრობლემა აქვთ. ამიტომ, მეორე მიზნულად პრობლემად, სწორედ მასწავლებელთა კომპეტენციის დაკავშირება. სამინისტრომ მასშტაბურად უნდა გააძლიეროს როგორც საუნივერსიტეტო, ისე მოკლევადიანი პროგრამები.

მესამე პრობლემა საგანმანათლებლო პროცესში მშობლების ჩართულობაა. მწვავედ დგას მშობლების განათლების საკითხი – რა უნდა მოითხოვოს მშობელმა სკოლისგან, ამაშიც აღრევა გვაქვს ხოლმე – ხან ძალიან ბევრს ითხოვენ, ხან – ნაკლებს. სკოლის ადმინისტრაციაც გასაძლიერებელია, ადამიანის უფლებების მიმართულებით. თუ ადამიანის უფლებები იცი, მაშინ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მოსწავლეების უფლებებიც კარგად გესმის.

პრინციპში, ეს სამი მთავარი პრობლემა აქვს დღეს ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიურ განათლებას – მწირი ბიუჯეტი, დაბალი კომპეტენცია და სოციალური განათლების ნაკლებობა.

– რამდენად ხელმისაწვდომია სკოლისთვის სსსმ მოსწავლის განათლებისთვის საჭირო რესურსი?

– თუ, რესურსოთახი, რომელიც ყველა ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა სკოლაში იქნება, ეს ძალიან კარგია. თუმცა, სკოლებს რატომღაც ჰგონიათ, რომ რესურსოთახი მხოლოდ სსსმ მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი. ამასაც არა უშავს, თუკი მათთვის მაინც იქნება ხელმისაწვდომი, რადგან სკოლებს ნაწილი საერთოდ უარს აცხადებს იმ მიზეზით, რომ ფართი არ აქვთ. სპეცმასწავლებლებს კი ამის გამო, ხან ბიბლიოთეკაში უწევთ ბავშვების გაყვანა და გაკვეთილების ჩატარება და ხან სად. ისეთი სკოლებიც გვაქვს, სადაც რესურსოთახი მოწყობილია და ალტურვილია სხვადასხვა განმავითარებელი სათამაშოებით თუ საგანმანათლებლო აქტივობებისთვის გამოსაყენებელი ნივთებით, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა. უმეტესად რესურსოთახს, ფაქტობრივად, მხოლოდ ოთახის ფუნქცია აქვს და მეტი არაფერი. შესაბამისად, ამ მხრივაც გასაძლიერებელია სკოლის ადმინისტრაცია.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ინკლუზიური განათლება არ არის მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლება, ეს ყველა ბავშვის განათლებაა თანაბრად. შესაბამისად, თუ ერთს ვაძლევთ „რაღაცას“, მაშინ ის მივცეთ ყველას. ჩვენი მოთხოვნაც ასეთია. სპეციალური რესურსი სჭირდება ტიპური განვითარების ბავშვსაც, რომელსაც არაჩაიროს სტატუსი არ აქვს, რესურსის გარეშე არც ის უნდა დარჩეს. ესეც ერთ-ერთი პრობლემაა ჩამოთვლილ პრობლემებს შორის – კანონში ჩანერილი რესურსოთახის საჭიროება მხოლოდ ფურცელზე არ უნდა დარჩეს.

რესურსოთახის ფუნქცია ზუსტად ის არის, რომ სავალდებულო პროცესში მასწავლებელმა გამოიყენოს იქ არსებული სპეციალური რესურსი. მაგალითად, უსინათლო ბავშვების შემთხვევაში, სკოლას უნდა ჰქონდეს ტაქტილური ნახატები და რუკები. გეოგრაფიის მასწავლებელს შეუძლია რესურსოთახიდან აიღოს ტაქტილური რუკა და გამოიყენოს კლასში ისე, როგორც სპეცმასწავლებელი გამოიყენებს მას განმავითარებელი აქტივობებისთვის. ზოგიერთ მოსწავლეს „სენ-

სორული შიმშილი“ აქვს. ამ დროს სასურველია, მისი სხვადასხვა ფაქტურის მქონე ნივთზე გაეარჯიშება. ასეთი ნივთები კი რესურსოთახში უნდა იყოს. ამის გარდა, რესურსოთახი ალტურვილი უნდა იყოს ვიზუალური გამაღიზიანებლებითა და ფიზიკური აქტივობებისთვის გამოსაყენებელი რესურსით. ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეს შეიძლება არ სჭირდება დამატებითი რესურსი, მაგრამ ფიზიკური განვითარებისთვის მას რაღაც აუცილებლად დასჭირდება, თუნდაც, სხვადასხვა ფაქტურის ფერადი სათამაშოები, რომელიც მხარდასწავლის მოსწავლეებს – ინკლუზიური გარემოს განვითარებისთვის იდეალური გზა ტიპურ მოსწავლესთან სსსმ მოსწავლის თამაშია.

– ყველაზე ხშირად რა პრობლემით მოგმართავენ სპეცმასწავლებლები?

– რეალურად, ჩვენ საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერები ვართ, მაგრამ ხშირად ამის იქით (ტრენინგების ორგანიზება და ა.შ.), სპეცმასწავლებლებს ბევრი საჭიროება აქვთ. თუნდაც კონფლიქტურ სიტუაციებში მხარდაჭერა, რომელიც ხშირია დირექტორებთან. სამწუხაროდ, დირექტორების წინილი დღემდე ვერ იგებს რა საჭიროა სპეცმასწავლებელი და მათ განიხილავენ, როგორც ბავშვების ძიძებს, რომლებიც, მათი აზრით, გაკვეთილზე საერთოდ არ უნდა შევიდნენ. ასეთი ტიპის კონფლიქტების გამო ხშირად გვირეკავენ. ჩვენ არ გვაქვს სადამსჯელო ორგანიზაცია, ერთადერთი, შეგვიძლია დავურეკოთ დირექტორს და ავუხსნათ, რომ ეს არასწორია. სხვა ბერეკეტი პრობლემის მოსაგვარებლად არ გავაგანია.

ასევე ხშირად მოგვმართავენ, როცა იურიდიული მხარდაჭერა სჭირდებათ და გვეკითხებიან როგორ მოიქცნენ. ძალიან ბევრი გვირეკავს ამის გამო. ჩვენმა თანამშრომლებმაც იციან, რომ ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვაძლევთ იურიდიულ პროცედურებთან დაკავშირებულ რჩევებს.

– სავალდებულოა თუ არა 120-საათიანი ტრენინგი და ამ ეტაპზე ყველა მასწავლებელს აქვს თუ არა გავლილი? ან რა უპირატესობით ისარგებლებს მომავალში, სქემის ფარგლებში, ტრენინგგავლილი მასწავლებელი?

– ყველას არ აქვს გავლილი. ტრენინგები ახლაც იგეგმება, უახლოეს დღეებში დაიწყება და შვიდი ჯგუფი იმუშავებს რაიონებში. ამდენი ხნის განმავლობაში მათი სრულად გადამზადება იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ ძალიან დიდია დენადობა – მასწავლებლები გაივილიან ტრენინგებს და მერე გადიან სკოლიდან. ასევე, ცუდად აისახა მასწავლებლისა და სპეცმასწავლებლის პოზიციების გაყოფაც. ამით ძალიან ბევრი გადამზადებული კადრი დაკარგეთ, რადგან უმეტესობამ მასწავლებლობა აირჩია. შემდეგ შემოვიდნენ ახალი კადრები, რომლებიც თავიდან დასატრენინგებლები არიან. ფაქტობრივად, უძირო ქვევრია, რომელიც არადა არ იცხება.

მართალია, 120-საათიანი ტრენინგის გავლა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ გაივილიან, გამოცდის ჩაბარება შედარებით გაუადვილებათ. ამიტომ ინტერესი მათგანაც დიდია. ამის გარდა, სკოლის დირექტორებიც ავალდებულებენ ტრენინგის გავლას, რადგან ურჩევნიათ ისეთი სპეცმასწავლებელი ჰყავდეთ, რომელსაც მინიმალური კომპეტენცია მაინც ექნება – ეს უკვე გარკვეული პრივილეგიაა.

დაბოლოს, მინდა pedagogi.ge-ზე ვისაუბრო, რადგან ძალიან ბევრს ჰქონდა ამასთან დაკავშირებით შეკითხვა, მით უფრო, ახალი ვაკანსიები ისევ ცხადდება. ძალიან მოკლედ განვმარტავ, როგორ დარეგისტრირდეს სპეცმასწავლებელი და ფსიქოლოგი pedagogi.ge-ზე – ვთხოვ მათ, რომ ყურადღებით შეავსონ თავიანთი პროფილის პირველი, მეორე და მეოთხე ველი – ეს სამივე ველი სავალდებულო შესავსებია. თუმცა მესამე ველი, სადაც უნდა მიუთითონ რომელი საგნის მასწავლებელია და რომელ სკოლაში სურს განაცხადის გაკეთება – არ შეავსონ. როცა ამ კითხვას მიადგებიან, გვირეკავენ დაბნეულები და გვეკითხებიან, რა ჩანერონ. კიდევ გავიმეორებ, რომ მესამე ბლოკი სპეცმასწავლებლობის მსურველმა არ უნდა შეავსოს, მათთვის ეს არ არის სავალდებულო. შემდეგ გადავლენ ვაკანსიებში და სასურველ ვაკანსიაზე გააგზავნიან განაცხადს.

რეპორტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კოკულარიზაციისთვის



საჯარო სკოლების ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიების სათანადოდ აღჭურვა, რეაქტივებისა და სხვა სასწავლო რესურსების არსებობა უმნიშვნელოვანესია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად შესასწავლად. ქიმიისა და ფიზიკის შესწავლაში, მხოლოდ თეორიული ცოდნით, სასურველი შედეგის მიღწევა რომ შეუძლებელია, ყველამ კარგად ვიცით. ეს პრობლემა, ქალაქის სკოლებთან ერთად, სოფლის სკოლებშიც აქტიურად დგას. დამეთანხმებით, ალბათ, რომ სამეცნიერო ექსპერიმენტული ყველას ძალიან უყვარს, განსაკუთრებით კი – ბავშვებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციისთვის, ექსპერიმენტით გაჯერებულ გაკვეთილებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

სწორედ ამ პრობლემის დაძლევაში დაეხმარა რაჭის სამი სოფლის – ნიკორწმინდა, ლიხეთი და ბუგეული – სკოლებს დანიური კომპანია, საქველმოქმედო ფონდი „ფეა თრიზ ფაუნდეიშენი“, რომლის დაფინანსებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების საჯარო სკოლები ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებით აღიჭურვა. აღსანიშნავია, რომ ფონდს „ფეა თრიზ ფაუნდეიშენი“ კომპანია LLC Fair Trees აფინანსებს, რომელიც კავკასიური სოჭის თესლს მოიპოვებს თლულის ტყის სატყეო კვარტლებში.

სასკოლო ლაბორატორიების გახსნის ღონისძიებას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული არჩილ ჯავარიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან და კომპანია „ფეა თრიზ“-ის ხელმძღვანელთან, მარიანა ბოლსთან ერთად, დაესწრო. მან აღნიშნა, რომ სკოლების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგნობრივი ლაბორატორიებით მნიშვნელოვანია, რათა პედაგოგებს მიეცეთ კვლევითი კომპონენტის გაძლიერების შესაძლებლობა და სწავლების პროცესი ბავშვებისთვის მეტად საინტერესო გახდეს.

რაჭის მაღალმთიანი სოფლების (ნიკორწმინდა, ლიხეთი, ბუგეული) მცირეკონტინგენტიანი სკოლის მოსწავლეებს, სულ მალე, ჩაუტარდება საინტერესო, მოსწავლეზე ორიენტირებული, ექსპერიმენტული და კვლევაზე დაფუძნებული გაკვეთილები, რასაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სოფელ ნიკორწმინდის მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის, 12 სექტემბერი მნიშვნელოვანი და საინტერესო დღე იყო. „ეს დღე ჩვენი სკოლის ისტორიაში, მნიშვნელოვან თარიღად ჩაინერგება. სკოლაში არ არსებული ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიების არარსებობის გამო პედაგოგებს გაკვეთილების ჩატარება მნიშვნელოვანი რესურსის გამოყენებით უზღებოდათ, რის გამოც ამ საგნების მიმართ ბავშვების ინტერესი ნაკლები იყო. აღნიშნული ლაბორატორიების საშუალებით მოსწავლეებისთვის ადვილად აღქმადი და საინტერესო განსაზღვრული სტანდარტის მიღწევა, განუვითარდებათ კვლევითი და ექსპერიმენტული უნარები, გამოუმუშავდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და სკოლაში მიღებულ ცოდნას რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ. სასკოლო ლაბორატორიების სათანადოდ აღჭურვა და, გაკვეთილის პარალელურად, თემატიკის შესაფერისი ექსპერიმენტის ჩატარება ხელს შეუწყობს ცოდნის უკეთ გააზრებას, განმტკიცებას და ექსპერიმენტული უნარების განვითარებას. ჩვენითვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სკოლაში დანიელი მასწავლებლების სტუმრობა, რომლებმაც ადგილობრივ მასწავლებლებს მასტერკლასები ჩაუტარეს და მოსწავლეებისთვის საჩვენებელი ქიმიური ცდები უჩვენეს. მადლობას ვუხდით ქალბატონ მარიანას აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის.“ – გვითხრა სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დირექტორმა ეკა ლოლობერიძემ.

სკოლის IX და XI კლასების მოსწავლეები – ლამარა და ელენე დონაძეები, გუბაზ ჩიხრაძე, გვანცა მიქიაშვილი, ქეთი გურგენიძე და სხვები სიხარულს ვერ მალავენ და შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ.

ლამარა ამბობს, რომ ქიმიის-ფიზიკის ლაბორატორიის გახსნა მისთვის და მისი თანატოლებისთვის სასიხარულოა და მნიშვნელოვანი, რადგან სათანადოდ აღჭურვილი კლას-კაბინეტები სწავლის პროცესს უფრო გააადვილებს და საინტერესოს გახდის. იმედი აქვს, მეგობრებთან ერთად, სულ მალე შეუდგება ქიმიისა და ფიზიკის სასკოლო ლაბორატორიაში სახალისო და საინტერესო ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებას.

ქიმიის-ფიზიკის ლაბორატორიის გახსნაზე ელენე და მისი თანაკლასელები დიდი ხანია ოცნებობდნენ. უნდოდათ ის ამოცანები, რომელსაც თეორიულად სწავლობდნენ, პრაქტიკაში განხორციელებინათ, საკუთარი თვალთ ენახათ და შეეგრძნოთ, თუ რა არის სინამდვილეში ფიზიკა და ქიმია, მაგალითად, როგორ დიდდება და სხვადასხვა ფორმას იღებს ციქქა აბი, როგორ იწვის გოგირდი და ფოსფორი, რომელი მეტალი რა ფერს გვაძლევს, როგორ მზადდება ლიმონათი, იფრქვევა ვულკანი, წარმოიქმნება მშრალი ყინულის კვამლი და მრავალი სხვა. ამბობენ, რომ დიდი ხნის ოცნება აუხდათ და ამ სიკეთისთვის მადლიერი არიან ყველა იმ ადამიანის, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში.

გუბაზმა ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიის გახსნის შესახებ პირველად თანაკლასელებისგან გაიგო და ძალიან გაიხარა. ლაბორატორიაში შესვლისთანავე აღფრთოვანდა, რადგან

დღეიდან თანაკლასელებთან ერთად შეძლებს დააკვირდეს და ჩატაროს საინტერესო ცდები. სჯერა, რომ ლაბორატორია ბევრ მოსწავლეს შეაყვარებს საბუნებისმეტყველო საგნებს.

გვანცა და ქეთი მოუთმენლად ელიან ფიზიკისა და ქიმიის პირველ გაკვეთილს. გულსყურით დაათვალიერეს და გაეცნენ ყველა ახალ ნივთს, ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების აუცილებელ პირობებს, ლაბორატორიულ ჭურჭელსა და დანადგარებს, უკვე კარგად იციან ლაბორატორიაში მუშაობის წესები, უხარიათ, რომ კლასში ექსპერიმენტების ჩატარება უფრო ხშირად იქნება შესაძლებელი. ახლა, ერთი სული აქვთ, ჩატარონ ლაბორატორიული ცდები, რომელიც აქამდე მხოლოდ სახელმძღვანელოში იყო მოცემული და მხოლოდ საოცნებო იყო.

სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგი სოფიო მანაშვილი ამბობს, რომ თანამედროვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და ბავშვებში მოტივაციის ზრდას. „სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გახსნას ფიზიკისა და ქიმიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც მოსწავლეებს დაეხმარება თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებაში. კეთებით სწავლება და ექსპერიმენტები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მიღებული ცოდნა გაიღრმავონ და განიმტკიცონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ქიმიური ცდების ჩატარებით, მოსწავლეები გაითავისებენ ქიმიური რეაქციის ცნებას, შეისწავლიან ნივთიერებათა თვისებებსა და ყოფაცხოვრებაში მათ უსაფრთხოდ გამოიყენებას.“

წლების განმავლობაში, ჩვენი სკოლა მოკლებული იყო ლაბორატორიული ცდების ჩატარების ფუფუნებას და მხოლოდ თეორიული კურსით ხდებოდა მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა. 2019 წლის გაზაფხულიდან ქალბატონებმა: მარიანა ბოლსმა და უანა ბაბუნაშვილმა რაჭის მცირეკონტინგენტიანი სკოლებისთვის, მათი და საქველმოქმედო ფონდის „ფეა თრიზ ფაუნდეიშენი“ პრეზიდენტის, ბატონი ირაკლი დვალის ძალისხმევით, მოხერხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამ სკოლაში ლაბორატორიების საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების სახელით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ პირს, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი, დახმარება გაგვინია პრობლემის მოგვარებაში და საშუალება მოგვცა, ეფექტურად და საინტერესოდ განვახორციელოთ ჩვენი საქმიანობა.“

მომზადდა მაკა ყიფინაძემ



„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“ გრძელდება

წელს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ორგანიზატორი, განათლების სამინისტროსთან ერთად, შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდია. ფესტივალი 2016 წლიდან ტარდება და მისი იდეა მეცნიერების პოპულარიზაციაა.

17 სექტემბერს, თელავში, ისტორიული მუზეუმის ეზოში, ფესტივალის ფარგლებში, „სამეცნიერო პიკნიკი“ გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე დაესწრო. სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში წარმოდგენილი იყო სახალისო ქიმიური ექსპერიმენტები და ვიქტორინები სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთათვის. ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აქტივობებში თავადაც მიეღოთ მონაწილეობა.

მოენყო ღვინის გამოფენა და გაიმართა პრეზენტაცია „ღვინო – სიამაღებელი და პერსპექტივა“. გამოფენაზე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა სწავლის პერიოდში, საკუთარი კვლევის შედეგად, წარმოებული ღვინოები, წითელ ღვინოში დაფარგებული ყველი და სიახლე – ყურძნის წვენი (ბადაგი) – წარადგინეს. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ბადაგისგან შენახვის ყველაზე ხანგრძლივი უნარის ჩურჩხელა მზადდება.

პიკნიკზე მისული დამთვალიერებლისათვის, აეროპორტ „მიმინოს“ ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით, ავიარო მონაცემი. აგრეთვე, უნივერსიტეტის სტუდენტებმა მათ მიერ დამზადებული უპილოტო საფრენი აპარატები წარმოადგინეს.

ღონისძიების ფარგლებში, ერეკლეს სასახლეში, თეიმურაზ მეფის პორტრეტი გამოიფინა, რომელიც სამშობლოში 257 წლის შემდეგ დაბრუნდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ მნიშვნელოვან და ღირებულების სამეფო საგანძური დღემდე არ დაბრუნებულა. თეიმურაზ მეფის პორტრეტი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისა და კოლექციის შემადგენელი ნაწილია. გამოფენა ღიაა თელავში ჩასული ნებისმიერი დამთვალიერებლისათვის.

ფესტივალში მონაწილეობდნენ: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე, საქართველოს სხვა წამყვანი უნივერსიტეტები, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, მულტიმედიაციონური კვლევების სამეცნიერო სკოლა, „აიტი სტუპ აკადემია“, საქპატენტი და სხვა ორგანიზაციები.

18 სექტემბერს „სამეცნიერო პიკნიკმა“ ქუთაისში გადაინაცვლა. ცენტრალურ ბაღში მისული დამთვალიერებლისათვის წარმოდგენილი იყო საინტერესო ქიმიური ექსპერიმენტები, სახალისო ცდები, ინტერაქტიული გამოფენები, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავლის ინოვაციური ლაბორატორია – ATSU FabLab, ასევე, რობოტექნიკისა და მოდელირებული არქეოლოგიური გათხრების სტენდები, სამედიცინო ტექნიკის ახალი ხელსაწყოები, ვიქტორინები და კონკურსები. გარდა ამისა, გაიმართა სტუდენტების მიერ შექმნილი სამოსის დეფილე. ქართველმა დიზაინერმა ზვიად ციკლიამ, ფესტივალის სტუმრებისთვის, ნაიკითხა საჯარო ლექცია „გზა წარმატებისკენ“.

23-ში „სამეცნიერო პიკნიკს“ ბათუმში უმასპინძლა.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“-ის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, პირველად გამოიფინა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სპილენძის მონეტა, რომელიც დავით IV აღმაშენებლის მიერ მოჭრილ მონეტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. მონეტას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მისი წარწერა XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ხაზს ასახავს. ავერსზე წარმოდგენილია დავით მეფის გამოსახულება ბიზანტიურ სამოსში; თავზე ადგას ჯვრით დამშვენებული გვირგვინი – სტემა, მარჯვენა ხელში გრძელბუნინი ჯვარი უპყრია, მარცხენაში კი –

ჯვრიანი სფერო. გამოსახულების თანხლები ასომთავრული წარწერა მას მეფე დავითად მოიხსენიებს. რევერსზე, მონეტის ცენტრში, თანაბარმკლავიანი ჯვრის გამოსახულებაა, რომელსაც გარშემო ქართული ასომთავრული წარწერა გასდევს: „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბავშვო უნივერსიტეტის ღია კარის დღე გაიმართა. თსუ-ს სტუდენტებმა და პროფესორებმა სკოლის მოსწავლეებისთვის, ქიმიამში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში, სახალისო ექსპერიმენტები ჩაატარეს. წარმოდგენილი იყო საინტერესო ექსპონატები თსუ-ს ზოოლოგიისა და მინერალოგიის მუზეუმებიდან. ღონისძიებაზე მისულ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებში.

ფესტივალზე, წელს პირველად, დასახელდნენ სახელობითი სტიპენდიების გამარჯვებულები. „ძალიან გვინდოდა ახალგაზრდა მეცნიერების დამატებითი სტიმულირება და ამის საუკეთესო შესაძლებლობაა სახელობითი სტიპენდიები, – ამბობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია – ძალიან ღირსეულ ახალგაზრდა მეცნიერებს მივანიჭეთ და სწორედ 16-ში, ფესტივალის გახსნის დღეს, დაავჯილდოვეთ პირველი ნაკადი. ეს ახალგაზრდა მეცნიერები, 12 თვის განმავლობაში, მიიღებენ სახელობით სტიპენდიას, თვეში 1250 ლარის ოდენობით, რაც მათთვის საკმაო სტიმულია. ასევე გადაეცემა დიპლომები და შესაბამისი დამადასტურებელი ატრიბუტიკა. ეს კონკურსები ყოველწლიური იქნება და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებას, მეცნიერებით მეტ დაინტერესებას. კარგი იქნება, ისინი მხოლოდ სადოქტორო დისერტაციის დაცვით არ ასრულებდნენ თავიანთ კარიერას, გვინდა, რომ მეცნიერებაში დარჩნენ.“

სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ ქართული მეცნიერებისთვის, დღეს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა. „პრაქტიკულად, ხიბრატეხილობა გვაქვს. გვყავს ძალიან წარმატებული ასაკოვანი მეცნიერები, მაგრამ შუა თაობა ძალიან გვიჭირს. ამიტომ ახალგაზრდა თაობის მიერ ამ ნაკადის შევსება უმნიშვნელოვანესია. ტენდენცია ნამდვილად პოზიტიურია, უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა ინტერესდება, ამას სტატისტიკაც გვიჩვენებს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, გვეჩვენებს მსგავსი სტიმულატორები.“

ფესტივალის ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა იყო – ქალები მეცნიერებაში. „ვცდილობთ, გენდერული ბალანსი მეცნიერებაშიც იყოს დაცული, თუმცა, ხშირად ქალების სასარგებლოდაა დარღვეული, მაგალითად, რუსთაველის ფონდში და განათლების სისტემის ძალიან ბევრ სსიპ-ში გაცილებით დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი ქალები, ვიდრე მამაკაცები. რაც შეეხება მეცნიერებს, ბალანსი, დაახლოებით, თანაბარია. ძალიან წარმატებული მეცნიერი ქალები გვყავს და ამას შედეგებიც მოწმობს. იმავე ფიზიკის მიმართულებით, ძალიან ბევრი ცნობილი ქართველი მეცნიერი ქალია ჩართული, მათ შორის ცერნის პროექტშიც, ასევე, ქართველოლოგიური მიმართულებით, პრინციპში, დომინანტები არიან, ასე რომ, ვფიქრობ, ამ მხრივ, პრობლემა არ უნდა გვექონდეს.“ – აცხადებს ზვიად გაბისონია.

ფესტივალის ფარგლებში კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიება დაგეგმილი. 30 სექტემბერს „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“ საზეიმოდ დაიხურება რუხისციხეში, სამეგრელოში, „ზუგდიდის პიკნიკით“.

მომზადდა ლალი თვალაბაიშვილმა



პროფესიონალითა კლასი

ამაბლარები ღირსეულად მიღიან

მასწავლებლის პროფესია მეტად საპატიო საქმეა... ყველა ადამიანს უყვარს თავისი არჩეული საქმიანობა, ეჩვევა და მისი ცხოვრების ერთგვარ რუტინულ წესად იქცევა, მაგრამ მასწავლებლობა – ეს მეტად რთული და საპატიო მოვალეობა, განსაკუთრებული თავისი არსით, მნიშვნელობით, შედეგებით...

პედაგოგობა „ხანგრძლივი პროფესიაა“, იგი არ ექვემდებარება სწრაფ მონაცვლეობას. პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან, თანამდებობის პირებიც ტოვებენ პოსტებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ხშირად იცვლიან სამუშაოს, სწავლა-აღზრდის მრავალნაზნაგოვან სისტემაში კი, განათლების სფეროს, ათეული წლების განმავლობაში, უცვლელად ემსახურებიან ამავდარი პედაგოგები, ისინი ყველა გამოწვევას მხარს უწყობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე მასწავლებლის „მოსუსტებას“ ვერასოდეს შეეგუება და ასეთი პედაგოგი თავის ფუნქციას სათანადოდ ვერ შეასრულებს, მაშინ ერთ დროს საყვარელი პროფესია ტანჯვად იქცევა... ამიტომაც, ხანდაზმულობის ჟამსაც, მასწავლებელი მუდამ ფიზიკურ და რუტინულით ემსახურება საყვარელ საქმეს.

მაგრამ ამქვეყნად მუდმივი არაფერია... ამიტომაც, მანაც დგება დრო და ისინი სევდით ემშვიდობებიან წლობით ნალოიავე მოსწავლეებს, სკოლას, თავიანთ საქმეს, რომლის კე-

თილსინდისიერად კეთებას მრავალი წელი მოანდომეს, წლებით დაღლილი მასწავლებელი ერთხელაც ტოვებს სკოლას...

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ამავდარი მასწავლებლების სკოლიდან წასვლა ღირსების შემცველი როდი იყო... იყო შემთხვევები, როცა ხელოვნურად შექმნილი არასასიამოვნო მიზეზები „გამოიძებნებოდა“ და გულნატკეპნი მასწავლებელი, უმადურ გარემოდ ქცეულ საყვარელ საქმეს ტოვებდა სევდითა და გულისტკივილით...

წელს სხვაგვარად მოხდა ყოველივე: მთავრობამ მეტად პოზიტიური ნაბიჯი გადადგა და ამავდარი მასწავლებლები სკოლიდან ღირსეულად, პატივით გააცილა მატერიალური კომპენსაციით – ორი წლის ხელფასით. ამ ნაბიჯით არა მარტო მატერიალური, არამედ, უფრო მეტიც, მორალური მხარდაჭერაც გამოუცხადა მათ, ამიტომაც, ცალსახაა, რომ ამავდარიები, რომელთაც სტატუსი ასაკის, ჯანმრთელობის ანდა სხვა მიზეზით ვერ მოიპოვეს, სკოლიდან მიინც დაფასებულად მიდიან... მათი სტატუსი წლების განმავლობაში განუვლი შრომაა, ახალგაზრდა თაობების აღსაზრდელად უშურველად დახარჯული, ეს ღვაწლი, სწორედ, მორალური და მატერიალური მიმართულებით დაფასდა, რაც უდავოდ კარგი ნაბიჯია... ღირსეული, ღვაწლმოსილი მასწავლებელი ისე ტოვებს საყვარელ საქმეს,

რომ მას ღირსება და პატივი არ ელახება, პირიქით, დაფასებულია მადლიერი სამთავრობო სტრუქტურებისაგან...

სსიპ წმინდა ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლაში აგვისტოს პედსაბჭო ასე დაიწყო:

სკოლის დირექტორმა, ბ-მა თამაზ ჭაბუკიანმა ერთგვარი ემოცია გამოიწვია პედაგოგებში, რადგანაც ბრძანა: „კოლეგებო!.. თვალი ეძებს სამასწავლებლოში ოთხ ძვირფას ადამიანს: **ნარგიზ კუხიანიძეს, ციციწო იმედაძეს, თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, გია თავხელიძეს...**“

ისინი ჩვენი სკოლის პედაგოგთა არმიის მეტად საპატიო წარმომადგენლები იყვნენ, ღირსეული, ამავდარი მასწავლებლები...

ერთს ვთხოვ ყოველ თქვენგანს – კონტაქტი არ განწყვიტოთ მათთან, მოინვიეთ სასკოლო ღონისძიებებზე, მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვდით, ესაუბრეთ... აუცილებლად მოიცალეთ, თქვენ ბევრ სასარგებლო რამეს ნამოიღებთ მათგან... ამ გზით გაუადვილეთ სკოლიდან წასვლა ამ ადამიანებს...“

ჩვენ თვალი გადავავლეთ მათ განვლილ გზას, რომელიც ძალზე ლაკონურად ასე გამოიყურება:



ნარგიზ კუხიანიძე – დაბადებული 1943 წელს, დაწყებითი კლასის მასწავლებელი, მას არაერთი თაობა დაუფრთიანებია და განათლების მკვიდრი საძირკველი დაუდევს მათი საგანმანათლებლო საქმისათვის. ქ-ნი ნარგიზი, სკოლაში მუშაობისას, გამოირჩეოდა მოსწავლეებისადმი განსაკუთრებული სითბოთი, მაღალი პროფესიონალიზმით, კოლეგებისადმი თანამშრომლობითი ურთიერთობებით, ყოველთვის იყო ფლაგმანი თანამოსაქმეებს შორის, სიახლეების დაუფლება, ინოვაციური მეთოდების მომარჯვება მისთვის უცხო არასოდეს ყოფილა, ახალგაზრდა სპეციალისტებს უშურველად აძლევდა გამოცდილებით მიღებულ საყურადღებო რჩევებს.

სწორედ ამიტომ, 1983 წელს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ წოდება მიენიჭა, დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით, დაიმსახურა სახალხო განათლების წარჩინებულის მედალი, „დაწყებითი კლასების საუკეთესო მასწავლებლის“ წოდება, არის არაერთი სერტიფიკატის მფლობელი სხვადასხვა მიმართულებით.

ქ-მა ნარგიზმა მიიღო მთავრობის გადაწყვეტილება და სკოლა დატოვა, მაგრამ ეს როდი მოხდა სულიერი დისკომფორტის გარეშე, იგი კმაყოფილია ღირსეული გაცილებით, მაგრამ საოცრად გულწრფელია, როცა ამბობს: „ახლა ზაფხულია და არ გამჭირვებია, მაგრამ ზამთარში როგორ გადავიტანო სკოლის გარეშე ცხოვრება...“

ჩვენ გვესმის თქვენი, ქ-ნი ნარგიზ, მაგრამ ეს დღე ყველას დაგვიდგება, ვინატროთ, მადლიერი მოსწავლეების სიყვარულთან ერთად თან გაგვეყვოს ღირსეული გაცილება საყვარელი საქმიანობიდან, ისე, როგორც წელს თქვენი თაობის მასწავლებლებს ერგოთ...



ციციწო იმედაძე – ინგლისური ენის მასწავლებელი, დაბადებული 1941 წელს, არაჩვეულებრივი ინტელექტუალი, თავისი საქმის უზომოდ მოყვარული, მოსწავლეებსა და კოლეგებში უდიდესი სიყვარულისა და ავტორიტეტის მქონე, უზომოდ უყვარს თავისი საქმე, აქვს კლასიკური მუსიკალური განათლება, ამიტომ მუსიკის გაკვეთილებსაც წარმატებით ატარებდა. როცა ციციწო მასწავლებელი ჩემს სადამრიგებლო კლასში გაკვეთილზე იყო, ხშირად ვთხოვდი გაკვეთილზე დასწრების ნებას, რაზეც სიამოვნებით მთანხმდებოდა. მისი გაკვეთილი ერთი დიდი სიამოვნება იყო, არასოდეს შემოიფარგლებოდა სახელმძღვანელოთი, ყოველთვის მოიმარჯვებდა ღრმად დამუშავებულ ინფორმაციას და მოსწავლეებს აწვდიდა სულის პურს, რომელსაც მათ ცხოვრების საგზადაც ატანდა.

ამავდარმა ციციწო მასწავლებელმა, ღირსეული მრავალწლიანი შრომის შემდეგ, ღირსეულად დატოვა საყვარელი საქმე, მისი გამოცდილება გაზამკვეთად კვლავაც გამოადგებათ ახალბედა მასწავლებლებს, რომელსაც უშურველად გასცემს მომავალშიც.



თეიმურაზ ლორთქიფანიძე – ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, დაბადებული 1951 წელს. ბატონ თეიმურაზს დამთავრებული აქვს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ფიზიკური აღზრდის სპეციალობით. იგი გახლავთ განონასწორებული, მაღალი შინაგანი ინტელექტის მქონე ადამიანი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სიყვარულით ემსახურებოდა მოსწავლეთა ფიზიკური წრთობის მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება კრივში. იგი პატიოსნად და დიდი პასუხისმგებლობით აკეთებდა თავის საქმეს, პასუხად მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. მისი თავმდაბლობა და ადამიანური ღირსებები მისაბაძია თაობებისათვის, რომელიც მან წლების განმავლობაში აღზარდა.

ღირსეულმა აღმზრდელმა სკოლის დატოვების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ვუსურვოთ დიდხანს იმოღვაწეოს მწვრთნელის ასპარეზზე, სპორტის მრავალი ოსტატი გაეზარდოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



გრიგოლ (გია) თავხელიძე – ფიზიკური აღზრდის პედაგოგი, დაბადებული 1951 წელს, დამთავრებული აქვს საქართველოს ფიზიკური კულტურის თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი. იგი გახლდათ ქუთაისის სპორტული კლუბ „ლოკომოტივის“ ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სკოლის მწვრთნელი, ხელბურთის კლუბ „ქუთაისის“ დირექტორი, მისი მომზადებული სპორტსმენები დიდ წარმატებებს აღწევდნენ და თაობების ცვლას ავსებდნენ. ბატონი გია გახლდათ არჩვეულებრივი თვისებების მქონე ადამიანი. ბრვე ვაჟკაცის ვიზუალური გამომეტყველება ღირსეული და მაღალზნეობრივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სასკოლო მოღვაწეობა მან ღირსეულად დაასრულა. ვუსურვოთ ხანგრძლივი, ჯანმრთელი სიცოცხლე, რათა დიდხანს ესმოდეს მადლიერი აღზრდილების სამადლობელი სიტყვა.

დიახ, ამავდარმა ადამიანებმა დატოვეს საყვარელი საქმე, ეს მასიური წასვლა ხანდაზმული „უსტატუსო“ მასწავლებლებისა სრულიადაც არაა მათი ღვაწლის დამაკინებელი, პირიქით, ისინი სევდით, მაგრამ კმაყოფილი ტოვებენ საყვარელ სკოლებს, რადგანაც მათ ყველაზე საიმედო სტატუსად ჩაეთვალათ ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დახარ-

ჯული წლები, ამიტომაც წლობით ნალოიავებ მოსწავლეებს ღირსეულად ემშვიდობებიან.

ვისურვოთ, ყველა ხანდაზმული და პროფესიული გარჯით დაღლილი მასწავლებელი ასეთი დაფასებული წავიდეს სკოლიდან, მადლიერმა ქვეყანამ ყოველ მათგანს სათანადო პატივი მიავოს, მაშინ მართლაც პრესტიჟული იქნება მას-

წავლებლის ურთულესი პროფესია.

მარინა არაპიძე-აშვითიძე
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლის მასწავლებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და ბათუმის პირველი ქართული სკოლა

IX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში დიდი მოვლენა იყო 1879 წლის 15 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება. ეს მოხდა თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში, სადაც შედგა საზოგადოების პირველი ყრილობა.

საზოგადოება იწოდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელად, მაგრამ მისი მიზანი ძალზე ფართო იყო; კერძოდ, იგი ითვალისწინებდა სკოლების გახსნას, მათში მშობლიურ ენაზე სწავლების დამკვიდრებას, ხალხში განათლების შეტანას და ეროვნული და სოციალური თვითშეგნების ამაღლებას, რუსულ სკოლაში კი ქართველი ბავშვი ეროვნული ცნობიერების საზრდოს ვერ იპოვიდა. ამიტომ ქართველმა განმანათლებლებმა გამოსავალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და ქართული ეროვნული სკოლის გახსნაში იპოვეს.

პირველ ხანებში საზოგადოებას კერძო წრის სახე ჰქონდა, რომლის წევრები აგროვებდნენ ფულს საქველმოქმედო საქმიანობისთვის, უწინარეს ყოვლისა, დაწყებითი სკოლების გახსნისათვის. პირველი სკოლა საზოგადოების წესდება, ძირითადად, თვით, სოფელ ხოვლეში გახსნა, მაგრამ, იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დედა-ენის უფლების შეზღუდვამ ცივი წყალი გადაასხა წრის წევრებს“. ამიტომ ქართველმა სამოციანელებმა გადაწყვიტეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება. საზოგადოების წესდება, ძირითადად, შეიმუშავეს დიმიტრი ყიფიანი და ნიკო ცხვედაძემ, მაგრამ იაკობმა იგი სრულყოფილად არ მიიჩნია, რადგან მასში არ იყო გარკვევით ნათქვამი, რომ სწავლება საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლებში ინარჩუნებდა მხოლოდ მშობლიურ ქართულ ენაზე. ამიტომ იაკობს თავისი ხელით მასში შეუტანია შემდეგი პარაგრაფი: „საზოგადოება თავის საგანმანათლებლო მიზანს განახორციელებს დაწყებით კლასებში ბავშვებისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებით“.

საზოგადოების წევრთა უმრავლესობას არ სჯეროდა, რომ მთავრობა ამ წესდებებს დაამტკიცებდა, მაგრამ მოხდა სასწაული და წესდება, რომელსაც ხელს აწერდა 126 დამფუძნებელი, დიდი ბრძოლის შემდეგ, 1979 წლის 31 მარტს, დამტკიცდა, რასაც დიდი დახმარება გაუწევია ქართველთათვის ილია ჭავჭავაძის ქვის – დიმიტრი სტაროსელის, რომელიც მაშინ, იაკობ მანსვეტაშვილის გადმოცემით, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე იყო.

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული სკოლის გახსნას ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა, სკოლების უქონლობის გამო, მოკლებული იყო მშობლიურ ენა-

ზე სწავლა-განათლების მიღებას. იმ პერიოდში ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო აჭარა, რომელიც სამასი წლის განმავლობაში თურქთა უფლის ქვეშ ყოფნის შემდეგ, 1878 წელს, სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს – საქართველოს და ჩაერთო საერთო ცხოვრების ფერხულში, მაგრამ იგი განათლებით, კულტურით, ეკონომიკითა და ეროვნული თვითშეგნებით დიდად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა კუთხეებს. „დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში, – წერს პროფ. ნ. გუგუნიანი, – განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეროვნული განათლების პრობლემა. რუს და თურქ მოხელეთაგან ქართული ენის დევნას თან ერთვოდა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი სირთულეებიც. მკვეთრად ისახებოდა ორი გზა: ქართული ეროვნულობის დავინყება ან განათლების სისტემის ქართულ ენაზე დაფუძნება და დედასაქართველოსთან სულიერი ერთობა“.

ამიტომ აჭარაში ქართული სკოლის გახსნა ფრიად მნიშვნელოვანი საქმე იყო. იგი ხელს შეუწყობდა ქართველი მუსლიმანების მიერ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას და მათი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მაშინ როცა ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის, მემედ აბაშიძის გადმოცემით, მეფის ჩინოვნიკებმა ბათუმის ოლქის ყველა მუსლიმანი ქართველი თურქებად მოხაზეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ქრისტიან ქართველებთან მათი შეკავშირებისათვის.

აჭარის მონინავე საზოგადოება, დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, დაუყოვნებლივ მოითხოვდა ქართული სკოლების გახსნას. 1878 წელს თბილისში გამართულ სადილზე შერიგ-ბეგ ხიმშიაშვილს უთქვამს: „განათლება სჭირდებათ, ბატონებო, იმათ. ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, ნადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ; სკოლა გამართეთ, ასწავლეთ“. ამიტომ ქართველი განმანათლებლები ჩქარობდნენ აჭარაში ქართული სკოლის გახსნას და ადგილობრივ მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების ამაღლებას.

ბათუმის სკოლის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ ვახუთ „დროების“ (1880წ. №287) ფურცლებზე ვკითხულობთ: „ამ სკოლამ თავიდანვე, პატარაობიდანვე უნდა ჩაუნერგოს აქაურ მცხოვრებლებს გულში, რომ ისინი და ჩვენ ერთის მიზნის შევლინი ვართ, ჩვენ და ისინი ერთს ისტორიულ ბედთან ვართ დაკავშირებულნი, რომ ჩვენ ერთი დედადგა გვაქვს, ერთი სამშობლო...“

ერთი ზნე, ერთი ხასიათი...“
ი. გოგებაშვილის აზრით, „განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებული მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზივნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულ წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაეფრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლ ძმთა შორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა... ათასის წლის ძმურის ისტორიულის ცხოვრებისა და ერთად მოქმედების შემდეგ“.

და აი, ქართველ განმანათლებელთა თაოსნობით, 1881 წლის მარტში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ბათუმში საზეიმო ვითარებაში გახსნა პირველი ქართული სკოლა. აქამდე არსებული მასალების მიხედვით, აღნიშნული სკოლა გაიხსნა 1881 წლის 23 მარტს. ამ თარიღს უთითებს გივი ნოორაძე (იხ. მისი წიგნი „პირველი ქართული სკოლა ბათუმში“, თბილისი, 1958, გვ. 33) და ვახტანგ წულუკიძეც (ვ. წულუკიძე, პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათუმი, 1982, გვ.19). გივი ნოორაძე აღნიშნული სკოლის 1981 წლის 23 მარტს გახსნის დასასაბუთებლად იშველიებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ 1882-1883 წლების ანგარიშს, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „ივერიის“ 1883 წლის №8-ში. ეს აზრი არ გაიზიარა პროფესორმა რამაზ სურმანიძემ და 1987 წლის 1 იანვრის ვახუთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „ილიას მადლი“ აღნიშნა, რომ ბათუმში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა არა 1881 წლის 23 მარტს, არამედ 12 მარტს. იმავეს იმეორებს აკად. გურამ შარაძე (იხ. გ. შარაძე,




ილია ჭავჭავაძე, წიგნი I, თბ., 1987, გვ.293). ორივე მათგანი თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად იშველიებს 1881 წლის 20 მარტის ვახუთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომელსაც ხელს აწერს ვინმე „კრაზანა“, რომელიც, მათი აზრით, იყო ბათუმელი სასულიერო პირი ლევან მჭედლიშვილი. ინფორმაციაში ვკითხულობთ: „როგორც იყო ძლივს გვაღირსა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თ. ი. გ. ჭავჭავაძე“. სკოლის გახსნის თარიღზე კი წერილში არაფერია ნათქვამი. მხოლოდ დასასრულს მინერილია: „კრაზანა, ბათუმი, 12 მარტის“. ჩვენ ამით არ დავკმაყოფილდით, რადგან 12 მარტი შეიძლება ყოფილიყო ინფორმაციის დაწერის და არა სკოლის გახსნის თარიღი. ამიტომ განვაგრძეთ სკოლის გახსნის ზუსტი თარიღის დამადასტურებელი საბუთების ძიება და ამავე ვახუთის 1881 წლის 19 აპრილის ნომერში (№80) მივაკვლიეთ მეორე ხელმოწერილ ინფორმაციას, რომელიც ნათქვამია: „დროების“ მკითხველებმა იციან, რომ წელს 12 მარტს ბათუმში ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გახსნა საერო სკოლა ქართველ მაჰმადიანთათვის. რასაკვირველია, ბათუმში სკოლის დაარსება ყველასათვის სასიამოვნოა, რადგანაც ეს პირველი და ერთადერთი სკოლაა ადგილობრივი ქართველებისათვის“.

ამრიგად, ბათუმის პირველი ქართული სკოლა გაიხსნა არა 1881 წლის 23 მარტს, არამედ 12 მარტს, რამაც ამიერიდან სწორი ასახვა უნდა პოვოს შესაბამის პედაგოგიურ ლიტერატურაში, ასევე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლის შესასვლელ კარებზე მინერული ინფორმაციაშიც, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნული სკოლა გაიხსნა 1881 წლის 23 მარტს.

ბათუმის სკოლის პირველ მასწავლებლად, ფარული კენჭისყრით, აურჩევით პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი, რომელიც მესამე კურსიდან ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გაურიცხავთ.

ნანეიშვილს მხოლოდ წელიწად-ნახევარი უმუშავია ბათუმის სკოლის გამგე-მასწავლებლად, მაგრამ მას ბევრი რამ გაუკეთებია ახალგაზრდა მუსლიმ სკოლის საკუთილდღეოდ. შემდეგ იგი შეცვალა მოსე ნათაძემ, რომელიც მანამდე ხონის ორკლასიან სასწავლებელში მუშაობდა. მოსე ნათაძემ ბათუმის სკოლაში 9 წელი დაჰყო და სკოლა, როგორც იტყვიან, ფეხზე დააყენა.

შემდეგ, ბათუმის სკოლის გამგეებად მუშაობდნენ: მიხეილ და ერმილე შარაშიძეები, ივლიან გოგოლიშვილი, ალექსანდრე მგელაძე, ისიდორე რამიშვილი, ნიკო ჯავყელი და სხვები, რომლებიც აჭარაში მეტად ძნელბედობის ჟამს მოღვაწეობდნენ და, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავიანთი უანგარო შრომით ასობით ახალგაზრდას ასწავლეს ქართული წერა-კითხვა, შთაუწერეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავდადება, განუმტკიცეს ეროვნული გრძობები. ამიტომ მათი სახელები არასოდეს ამოიშლება აჭარის მკვიდრთა მენსიერებიდან.



სწავლის მეთოდი

როგორ ვასწავლი სიბრძნის, ფართობისა და მოცულობის საზომ ერთეულებს

სკოლაში მომუშავე მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის მასწავლებლები დამეთანხმებიან, რომ საზომი ერთეულები ერთ-ერთი იმ საკითხებია, რომელიც მოსწავლეთა უმეტესობისთვის ხშირად სათანადოდ „ვერ გაგებულ“ და ადვილად მივინყვება. უჭირთ ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირება, რაც შემდგომში პრობლემურ სიტუაციას წარმოქმნის არა მარტო მათემატიკის/გეომეტრიის ამოცანების ამოხსნის დროს, არამედ ფიზიკისა და სხვა ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაში. (ხშირად ფიზიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლები შემოგვჩივიან, რომ თავიდან უნვთ საკითხის ახსნა, რათა მათ საგანში გამოიყენონ აღნიშნული საკითხი).

ერთ-ერთი სასწავლო გეგმის მოთხოვნებსაც თუ გადავხედავთ, ამა თუ იმ კლასში (IV, V, VI, VII, VIII) „მოსწავლეს შეუძლია ზომის სხვადასხვა ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება“, „ირჩევს და იყენებს შესაფერის ერთეულებს სიდიდის ცვლილების, მოძრაობის სიჩქარის, მასშტაბისა და რუკაზე მანძილის პოვნასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნისას“, „მოცემული წრფივი დამოკიდებულების გამოყენებით გამოსახავს ერთ სისტემაში მოცემულ ერთეულს სხვა სისტემის ერთეულით“, „გამოსახავს მოცემულ ერთეულს იმავე სისტემის სხვა ერთეულის საშუალებით“ და სხვ.

შესაბამისად დავინყვ ფიქრი პრობლემის აღმოსაფხვრელად და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი

$$1000 \text{ კმ} \rightarrow 10 \text{ მ} \rightarrow 10 \text{ დმ} \rightarrow 10 \text{ სმ} \rightarrow 10 \text{ მმ}$$

მოცემული სქემის ცოდნის (თუნდაც გაზიარების) შემდეგ მოსწავლეს ეცოდინებოდათ სიგრძის, ფართობისა და მოცულობის ერთეულები.

ჩემი მოსწავლეების გარდა ეს სქემა დავტესტე სკოლის სხვა კლასების მოსწავლეებთანაც, აბიტურიენტებთანაც (რომლებიც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები არიან) და ყველა მხრიდან მესმოდა, რომ „ასეთიანად უფრო ადვილია საკითხის გაგება“, „თურმე რა ადვილი ყოფილა“, „ნებისა რა მარტივად საკითხს ვერ იგებდნენ თურმე“ და სხვ. სწორედ ამ შეფასებებმა მომცა სტიმული, გამბედაობა, რომ ჩემი მიგნება (დამელაგებინა/ლოგიკური ჯაჭვი შემექმნა საზომი ერთეულებისა) სხვებისთვისაც გამეზიარებინა.

რაც შეეხება უშუალოდ სქემას, სიგრძის საზომი ერთეულების სწავლებისას, მოსწავლეებს ვაცნობ სიგრძის საზომი ერთეულების ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვს:

$$1000 \text{ კმ} \rightarrow 10 \text{ მ} \rightarrow 10 \text{ დმ} \rightarrow 10 \text{ სმ} \rightarrow 10 \text{ მმ} \quad (1)$$

შემდეგ საფეხურზე, როცა ფართობის საზომ ერთეულებზე გადავდივართ, მოსწავლეებს თვითონ ვავსებინებ ახალ

„ფართობის საზომი ერთეულების ჯაჭვს“ (1) ჯაჭვის თუნდაც დახმარებით (ანუ, უბრალოდ ნახავენ, რომ კვადრატში აყვანისას ნულების რაოდენობა ისრებზე ორმაგდება)

$$1000000 \text{ კმ}^2 \rightarrow 100 \text{ მ}^2 \rightarrow 100 \text{ დმ}^2 \rightarrow 100 \text{ სმ}^2 \rightarrow 100 \text{ მმ}^2 \quad (2)$$

(მე მაგალითად ფართობის (2) სქემის მიწოდების შემდეგ, მომდევნო საგაკვეთილო საათზე, ვთავაზობ ამ სქემასაც)

$$100 \text{ კმ}^2 \rightarrow 100 \text{ კმ} \rightarrow 100 \text{ მ}^2 \rightarrow 100 \text{ დმ}^2 \rightarrow 100 \text{ სმ}^2 \rightarrow 100 \text{ მმ}^2 \quad (2')$$

ანალოგიურად მოცულობის საზომის ერთეულების სწავლებისასაც (ნულების რაოდენობა ისრებზე უბრალოდ სამმაგდება)

$$1000000000 \text{ კმ}^3 \rightarrow 1000 \text{ მ}^3 \rightarrow 1000 \text{ დმ}^3 \rightarrow 1000 \text{ სმ}^3 \rightarrow 1000 \text{ მმ}^3 \quad (3)$$

ახლა რაც შეეხება მოცემული სქემების გამოყენების წესს. სქემის გამოყენებისთვის მოსწავლეს სჭირდება მხოლოდ რიცხვის, 10-ზე, 100-ზე, 1000-ზე, ... გამრავლების წესის ცოდნა. ვუსხნი, რომ ერთეულის ისრის მიმართულებით (დიდი ერთეულიდან მცირეში) გადაყვანისას გამრავლებით, უკუმიმართულებით (მცირედან დიდში) – ვყოფთ.

მასალის უკეთ აღსაქმელად განვიხილავ რამდენიმე მაგალითს:

1) 31კმ = ... დმ

რადგან გადავყავს დიდი ერთეულიდან მცირე ერთეულში (გადავაადგილდებით ისრის მიმართულებით), ამიტომ მოცემულ 31-ს გამრავლებით დასაკავშირებელ ერთეულებს შორის არსებულ ისრებზე არსებულ რიცხვებზე,

$$31 \text{ კმ} \rightarrow 31 \text{ მ} \rightarrow 31 \text{ დმ} \rightarrow 31 \text{ სმ} \rightarrow 31 \text{ მმ} \quad (1)$$

ე.ი. $31 \text{ კმ} = 31 \cdot 1000 \cdot 10 = 310000 \text{ დმ}$

2) 124, 487 მ² = ... მმ²

რადგან გადავყავს დიდი ერთეულიდან მცირე ერთეულში (გადავაადგილდებით ისრის მიმართულებით), ამიტომ მოცემულ 124,487-ს გამრავლებით დასაკავშირებელ ერთეულებს შორის არსებულ ისრებზე არსებულ რიცხვებზე,

$$124,487 \text{ მ}^2 \rightarrow 124,487 \text{ დმ}^2 \rightarrow 124,487 \text{ სმ}^2 \rightarrow 124,487 \text{ მმ}^2 \quad (2)$$

ე.ი. $124,487 \text{ მ}^2 = 124,487 \cdot 100 \cdot 100 = 124487000 \text{ მმ}^2$

3) 32,5 სმ³ = ... მ³

რადგან გადავყავს მცირე ერთეულიდან დიდ ერთეულში

(გადავაადგილდებით ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით), ამიტომ მოცემულ 32,5-ს ვყოფთ დასაკავშირებელ ერთეულებს შორის არსებულ ისრებზე არსებულ რიცხვებზე,

$$32,5 \text{ სმ}^3 \rightarrow 32,5 \text{ დმ}^3 \rightarrow 32,5 \text{ მ}^3 \quad (3)$$

ე.ი. $32,5 \text{ სმ}^3 = 32,5 : 1000 : 1000 = 0,000325 \text{ მ}^3$

4) 37,4 ჰა = ... დმ²

რადგან გადავყავს დიდი ერთეულიდან მცირე ერთეულში (გადავაადგილდებით ისრის მიმართულებით), ამიტომ მოცემულ 37,4-ს გამრავლებით დასაკავშირებელ ერთეულებს შორის არსებულ ისრებზე არსებულ რიცხვებზე,

$$37,4 \text{ ჰა} \rightarrow 37,4 \text{ მ}^2 \rightarrow 37,4 \text{ დმ}^2 \rightarrow 37,4 \text{ სმ}^2 \rightarrow 37,4 \text{ მმ}^2$$

ე.ი. $37,4 \text{ ჰა} = 37,4 \cdot 100 \cdot 100 = 3740000 \text{ დმ}^2$

მესამე წელია რაც ამ სქემებს ვიყენებ სასწავლო პროცესში და დაკვირვებამ ცხადყო, რომ თუ მოსწავლემ იცის 10-ზე, 100-ზე, 1000-ზე, ... გამრავლების წესი და (1) სქემა, ე.ი. ეცოდინება სიგრძის, ფართობის და მოცულობის საზომი ერთეულები.

P.S. მოცემული სახით – ერთეულების დალაგების წესით – ვასწავლი მასის ერთეულებსაც.

რა თქმა უნდა, ამ სქემების გამოყენება არ მოითხოვს მოსწავლესაგან მალა სააზროვნო უნარებს, თუმცა ამით უზრუნველყავი, რომ მოსწავლეს გადავიღებოდათ სწავლა ცოდნისა და გამოყენების დონეზე და ადვილად დაუფლებოდნენ საკითხს.

ნიწო გორბილაძე

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ კობულეთის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერთეული სასწავლო გეგმა, 2018-2024 წწ;
2. ვამეყვლევი მასწავლებლებისთვის მათემატიკაში – ზ. გიუნაშვილი, ე. კორძაძე, ვ. გვაზავა, ლ. მამულაშვილი, ლ. ბერიშვილი, ქ. ისიაშვილი – თბილისი 2011.

ახალი ახგაბი

ქართული სტუდენტები იტალიის ღვინის ქირებზე სტაჟირებას გადიან

ევროპის საბჭოს ღვინის მარშრუტისა (ITER VITIS) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, ქართველი სტუდენტები იტალიის მეღვინეობის კერებზე სტაჟირებას გადიან.

საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა, 2019 წლის 22 ივნისს, წარმომადგენელ მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციაზე „ღვინო, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რესურსი და ქვეყნის იდენტობა“. კონფერენცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კონსალტინგი-



სა და ახალი პროფესიების რეგიონული ცენტრის ორგანიზებით, ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტის „ITER VITIS“ ეგიდით მოეწყო.

კონფერენციის მონაწილე ინსტიტუციების წარმომადგენლებისგან შემდგარმა უიუმ 7 საუკეთესო სტუდენტი გამოავლინა, რომლებიც, „ITER VITIS“-ის მხარდაჭერით, ერთკვირიან სტაჟირებას იტალიაში გადიან.

კულტურა საზღვრებს გარეშე

18 ივნისიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, ხორციელდება სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ ინიცირებული პროექტი „კულტურა საზღვრებს გარეშე“, რომლის ფარგლებშიც შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში არაერთი ღონისძიება იმართება.

პროექტის ფარგლებში, 13 სექტემბერს, ღონისძიებები სოფლებში – კოკი და ორსანტია, ასევე ქალაქ ზუგდიდში გაიმართა. ქართულ-აფხაზურ კულტურულ და ისტორიულ ურთიერთობებზე და კულტურული დიალოგის გაღრმავების მიზნით, ინტერაქციის რეჟიმში, მეცნიერებმა და ხელოვანებმა – ლია ახალაძემ, მაია მიქაბერიძემ, ნინო კაცაძემ – ისაუბრეს.

ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ასევე გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების/მიმართულებების „პროფორინტის“ გაცნობა. მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენა და ბოლო დროს შექმნილი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება. ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისათვის და აფხაზეთიდან დევნილებისათვის, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაცურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა გამართა სპექტაკლი „მგზავის წერილები“.

სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნებით განახლდა სოფელ კოკისა და სოფელ ორსანტიას სკოლის ბიბლიოთეკებისა და, ასევე, ზუგდიდის მთავარი ბიბლიოთეკის წიგნაღი ფონდი.



სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პროექტის „კულტურა საზღვრებს გარეშე“ განხორციელებული ღონისძიებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გამომცემლობა „პალიტრა L“-ის პარტნიორობითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.



სამოღვაწეო გაკვეთილი

შაქაის ქარაფაყეთარანის
ეილი ზარაფილი ხანრახინ
იყრი
მარქმასთიქაის ისოციალი
სქისა სრავანის იასაყლან



გასაღღა

გაკვეთილის გეგმა

Table with 2 columns: Information and Details. Rows include: Personal info (Name: Shaqais, Age: VI), Education (Secondary school), Subjects (Arabic, English, etc.), and various assignments (Homework, Projects, etc.).

Table with 2 columns: Information and Details. Rows include: Personal info (Name: Alisa Abakhan, Age: VI), Subjects (Mathematics), Assignments (Homework, Projects, etc.), and a list of activities (Reading, Writing, etc.).

ალისა აბაჯიანი
სიბ ნალკის მუნიციპალიტეტის დარაქოვის საჯარო სკოლის
მათემატიკის მასწავლებელი

გამოსვლილება

როგორ გავუღვივოთ ემპათიის გრძნობა მოსწავლეებს დაწყებით კლასებში

ემპათია – ადამიანის უნარი უთანაგრძნოს სხვებს და გაიგოს მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ემპათია არის უნარი გაიაზრო სხვისი ემოციები ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ – გქონდეს უნარი „სხვისი ფეხსაცმლით გაიარო რამდენიმე მილი“. ემპათიას განიხილავენ, როგორც სხვათა როლების ათვისების პროცესს, რაც სოციალიზაციის არსს შეადგენს.

ემპათიის განსაზღვრებები მოიცავს ემოციური მდგომარეობების ფართო რიგს, მათ შორის სხვებზე მზრუნველობას, მათდამი ყურადღებასა თუ დახმარების სურვილს; იმ ემოციების განცდას, რომლებიც სხვების ემოციებს ერგება; ეს არის უნარი მიხვდეთ, რას ფიქრობს ან გრძნობს სხვა პიროვნება და ნაკლებად მკაფიო გახადო განსხვავებები შენსა და სხვას შორის.

აგრეთვე უნარია, იგრძნოს და გაიზიარო სხვების ემოციები. ზოგს სჯერა, რომ ემპათია გულისხმობს სხვისი ემოციების მორგების უნარს, ზოგს კი სჯერა, რომ ემპათია სხვა პიროვნებისადმი კეთილ, დადებით, სენტიმენტალურად განწყობას ნიშნავს.

თანაგრძნობა (compassion) და სიმპათია, თანაგანცდა (sympathy) დაკავშირებულია ემპათიასთან, მაგრამ სამივე ეს ტერმინი უნიკალურია. თანაგრძნობა განისაზღვრება, როგორც ემოცია, რომელსაც გრძნობ გასაჭირში მყოფის მიმართ, რაც გამოტივრებს მისი დახმარებისკენ; თანაგანცდა (sympathy) მზრუნველობის შეგრძნება და გასაჭირში მყოფის გაგება. ზოგი sympathy-ში ემპათიურ ინტერესსაც მოიაზრებს, რასაც სწავლულები განმარტავენ, როგორც სურვილს, დაინახო სხვები უკეთესად და ბედნიერად.

მე, როგორც მასწავლებელს, მიმაჩნია, დაწყებითი კლასებშიდანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ბავშვებში ემპათიის გრძნობის გაღვივებას, რათა თავიდან ავიცილოდ გულგრილი და ინერტული საზოგადოება. ამისათვის ხშირად უნდა დაიგეგმოს გაკვეთილები, რომელთა მიზანიც იქნება სწორედ ემპათიის გაღვივება; გაიმართოს ფილმების ჩვენება, დისკუსიები და როლური თამაშები; მოვიწვიოთ მშობლები და ისინიც აქტიურად ჩაერთონ ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებში. გთავაზობთ ჩემი გაკვეთილის გეგმას, რომლის მიზანიც მოსწავლეებში ემპათიის გაღვივებაა.

გაკვეთილის გეგმა

საბანი: ქართული ენა



სწავლების საფეხური: დაწყებითი საფეხური/IV კლასი

გაკვეთილის თემა: გუგული ტოგონიძის „ცვრიანა“

გაკვეთილის მიზნები:

მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოპოვების, პერსონაჟის გრძნობების აღქმისა და ემპათიის/თანაგანცდის გამოხატვის უნარები.

აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1. მიზანი: ინფორმაციის მიწოდება აქტივობა: გავაცნობ გაკვეთილის თემას, მიზნებსა და შეფასების კრიტერიუმებს. ყოველი აქტივობის შემდეგ მოსწავლეები მიიღებენ მყისიერ უკუკავშირს.	ვერბალური მეთოდი	მთელ კლასთან	დაფა, ფლიპჩარტი, მარკერი; ფლიპჩარტზე დაწერილი გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა შეუქმნის მზაობას გაკვეთილისადმი.	25წთ
2. მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება აქტივობა: მოსწავლეებს ვთხოვ, გაიხსენონ რა განსხვავებაა მინდვრისა და ბალის ყვავილებს შორის, რითი საზრდოობენ ისინი? იციან თუ არა ცვრიანას, იმავე დროზე რას შესახებ რაიმე?	გონებრივი იერიში	მთელ კლასთან		25წთ
3. მიზანი: ინფორმაციის მიწოდება აქტივობა: დაეფურცებ მოკლე საინფორმაციო ტექსტს „მწერიჭამია მცენარეები“. მოსწავლეები წაიკითხავენ და გამოიტანენ დასკვნებს. როგორ მცენარეებს მიეკუთვნებიან ისინი, როგორ იკვებებიან.	ჩუმი კითხვა	ინდივიდუალური	არნ. გეგექტორის „მწერიჭამია მცენარეები“	5წთ
4. მიზანი: მოსწავლეებს გაუადვილდეთ ინფორმაციის აღქმა აქტივობა: ვუჩვენებ ვიდეოს, თუ როგორ იკვებება ცვრიანა მწერებით.	ვიდეომეთოდი (ვერბალური ახსნა)		ბუკი https://www.youtube.com/watch?v=h9NnetZVrvk	15წთ
5. მიზანი: სიღრმისეული წვდომა აქტივობა: წაუკითხავ ტექსტს პაუზებით და გზა-დაგზა ავუხსნი ახალ სიტყვებს (ცხიმურა, წყლის ბამბა). ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაირკვევა რა მცენარეა ცვრიანა? სად იზრდება, როგორია გარეგნობით? რა თვისებები ახასიათებს მას? რაზე დარდობს ცვრიანა? რას ნატრობს? როგორ დასციინან მეგობრები? რა რჩევას აძლევდნენ მეგობრები? ეთანხმებიან თუ არა მათ რჩევას, რატომ? რას ნატრობს? რამ მოჰგვარა ცვრიანას სიხარულის ცრემლები? როგორ გესმით „სიხარულის ცრემლები“?	პაუზებით კითხვა სიტყვის კედელი	მთელ კლასთან	სახელმძღვანელო	106წთ

6. მიზანი: პერსონაჟთა თვისებების გამოკვეთა აქტივობა: დაფაზე გავაკრავ ნინასნარ გამზადებულ ვენის დიაგრამას და შევავსებ მოსწავლეებთან ერთად. მოსწავლეები შეადარებენ მათ თვისებებს და გამოიტანენ დასკვნებს. 	გონებრივი იერიში	მთელ კლასთან	დაფა, ფორმატი, მარკერი	5წთ
7. მიზანი: მოსწავლეებში ემოციების გაღვივება აქტივობა: მოსწავლეები შევავსებენ სქემას „მოთხრობის ყველაზე ემოციური ეპიზოდი“ 	სქემის შევსება	ინდივიდუალური	სახელმძღვანელო სქემა, კალამი	5წთ
8. მიზანი: პრეზენტაცია აქტივობა: შემდეგ ისაუბრებენ შევსებულ სქემებზე. განსხვავებული აზრი ნახა-ლისდება ჩემ მიერ.	პრეზენტაცია	მთელ კლასთან	შევსებული სქემა	75წთ
9. მიზანი: ემპათიის გრძნობის გაღვივება აქტივობა: „ცხელი სკამი“ მოსწავლე მოირგებს ცვრიანას როლს და უპასუხებს მოსწავლეების კითხვებს.	კითხვა-პასუხი	მთელ კლასთან	ადამიანური რესურსი, სკამი	5წთ
10. მიზანი: გაკვეთილის შეჯამება-შეფასება აქტივობა: შევაჯამებ გაკვეთილს – რა მოეწონათ? რა ისწავლეს? რატომ არის მნიშვნელოვანი თანადგომა და თანაგრძნობა? გაავლენ პარალელს შესწავლილ ნაწარმოებებთან.	კითხვა-პასუხი	მთელ კლასთან		35წთ

შეფასება: გაკვეთილის მსვლელობის პროცესში, მოსწავლეთა დაკვირვების საფუძველზე, ვაძლევ განმავითარებელ სიტყვიერ კომენტარს ამ კრიტერიუმებით:

- როგორ მოიძიებს ტექსტში კონკრეტულ ინფორმაციას;
- როგორ გამოხატავს ემპათიას/თანაგანცდას;
- რამდენად ჩანდება გმირის გრძნობებსა და განცდებს.

თამარ მგალობლიძე
სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №182 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი

გამოყენებული მასალა:
1. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90>
2. <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/83257-%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90/93/user:%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94:show:channel>

ახალგაზრდაები სვლილუბაგისთვის

ოსნებები და ბავშვობა სარიელი სიტყვებით მომპარეთ

გრეტა ტუნბერგი – დღეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი 16 წლის თინეიჯერი შეედი მოსწავლეა, რომელიც შეედემა პოლიტიკოსებმა იენს ჰოლმმა და იოჰან სვენელინგმა ნობელის პრემიაზე წარადგინეს. პრესტიჟულ პრემიაზე სკოლის მოსწავლის წარდგენა გლობალური დათბობის წინააღმდეგ მის ბრძოლას უკავშირდება. 2018 წლის ზაფხულიდან ტუნბერგი, კვირაში ერთხელ, სტოკჰოლმის პარლამენტთან აქციას მართავს და მთავრობას გარემოს დაცვისა და „პარიზის შეთანხმების“ შესრულებისკენ მოუწოდებს. „ამ ნომინაციაში გრეტა წარადგინეთ, რადგან კლიმატური ცვლილებების საფრთხე შეიძლება ომის და კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყოს. მოძრაობა, რომელსაც გრეტა შუამდგომლობს, აუცილებელია,“ – განაცხადა საპარლამენტო წარმომადგენელმა, ფრედი ანდრეოესტიგარდმა.

შედეგმა მოსწავლემ, როცა სტოკჰოლმის პარლამენტის შენობასთან პირველი გაფიცვა მოახდინა, განაცხადა, რომ პარლამენტის სკოლაში მანამ აღარ ივლიდა, ვიდრე პოლიტიკოსები პარიზის კლიმატის შეთანხმებას არ შეასრულებენ. ერთი თვის განმავლობაში გოგონა ერთკაციანი საპროტესტო აქციას მართავდა შედეგის პარლამენტის წინ მოთხოვნით, მეტი ძალისხმევა დაეთმოს კლიმატური ცვლილების საკითხს. ყოველ პარასკევს, გაკვეთილებზე დასწრების ნაცვლად, ის შედეგის პარლამენტის წინ იდგა და მთავრობას იმ შეთანხმების შესრულებას სთხოვდა, რომელსაც 2015 წელს მოაწერა ხელი, ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაშვების და გლობალური დათბობის ტემპების შენელების რეგულაციის მიზნით.

„პარასკევი მომავლის ნაცვლად“ – ასე დაარქვა მან აქციებს, რომელიც მთელმა მსოფლიომ აიტაცა, კლიმატთან დაკავშირებული გაფიცვების მოწყობა სხვა ქვეყნების მოსწავლეებმაც დაიწყეს და 15 მარტის გაფიცვაზე ნახევარი მილიონი მოსწავლე გამოვიდა კლიმატის დასაცავად, ინსტაგრამზეც იმატა ხელმომწერთა რაოდენობამ და ჟურნალმა Time-მა 16 წლის აქტივისტი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი 100 ადამიანის სიაში შეიყვანა, დონალდ ტრამპთან და რომის პაპთან ერთად.

ყველაზე გავლენიანმა თინეიჯერმა შეძლო და მსოფლიოს ასობით და ათასობით მოსწავლე შეთავაზა, რომ ხმა ამოიღონ და მსოფლიო ლიდერები აიძულონ მოქმედება დაიწყონ. გაეროს ანგარიშის მიხედვით, ტემპერატურა შესაძლოა 1.5°C-ით შეიცვალოს. მეცნიერების აზრით, ეს ცვლილება პლანეტას მიმდებარე შედეგებს მოუტანს, თუ 2030 წელს საბურთის გაზის

ემისია მიმდინარე მაჩვენებლით ზრდას განაგრძობს. იანვარში, შედეგით გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, აქტივისტმა დარბაზს მიმართა: „მოიქცით ისე, თითქოს თვენი სახლი ცეცხლშია, რადგან ასეც არის“.

მის მიერ შექმნილი მოძრაობის FridaysForFuture მონაწილე მოსწავლეები სკოლას აცდენენ ცვლილებებისთვის – მოძრაობაში, დაახლოებით, 100-ზე მეტი ქვეყანა ჩაერთო. „ეს მხოლოდ დასაწყისია. ვფიქრობ, ეს ცვლილება პარიზის შეთანხმებაზე და ხალხი იბრძოლებს საკუთარი მომავლისთვის“ – წერდა აქტივისტი სოცქსელში.

მას შემდეგ, რაც გრეტა ნობელის პრემიაზე წარადგინეს მშვიდობის დარგში, გოგონამ პოლიტიკოსებთან ურთიერთობა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა დაიწყო. 2019 წელს მან ატლანტის ოკეანე იალქნიანი ნავით გადაცურა და ნიუ-იორკამდე ასე მიაღწია გაეროს კლიმატის ცვლილებების შესახებ დაგეგმილ სამიტში მონაწილეობის მიზნით.

23 სექტემბერს, სამიტის გახსნაზე, 16 წლის ეკოაქტივისტი ძალიან ემოციური, შთაბეჭდილი სიტყვით გამოვიდა და მსოფლიოს ყურადღების ქვეშ კიდევ ერთხელ მოექცა, როგორც ძალიან გამბედავი და მეტროპოლი ახალგაზრდა, რომელმაც მსოფლიო ლიდერები, ახლა უკვე სამიტის ტრიბუნაზე, ლიდ დაადანაშაულა უმოქმედობაში. „ახლა აქ არ უნდა ვიდგე, სკოლაში უნდა ვიყო, ოკეანის გაღმა. ჩემი ოცნებები და ჩემი ბავშვობა ცარიელი სიტყვებით მომპარეთ, როგორ ბედავთ! მსოფლიო ლიდერების დაშვებით ნადგურდება ეკოსისტემები, პოლიტიკოსებს კი მხოლოდ ფული ადარდებთ და ჰყვებიან დაუსრულებელ ზღაპრებს ეკონომიკურ ზრდაზე... ახალგაზრდები უკვე ხვდებიან, რომ გვიღალატეთ. მომავალი თაობები თქვენ შემოგცქერიან და თუ არ გაამართლებთ ჩვენს იმედებს, არასოდეს გააბატონებთ. მსოფლიო ნელ-ნელა იღვრება და ცვლილებები გარდაუვალია, მოგწონთ თუ არა ეს,“ – მიმართა აუდიტორიას 16 წლის მოსწავლემ.

მისი გამოსვლა მედიითა და სოციალური ქსელების საშუალებით მასობრივად გავრცელდა და ათასობით ადამიანმა გააზიარა. ვიდეოკადრში ჩანს ტუნბერგის რეაქცია, როგორი გაბრაზებული უყურებს აშშ-ს პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს, როცა ის დარბაზში გამოჩნდა (უამრავი მეცნიერის დასკვნის მიუხედავად, აშშ-ს პრეზიდენტი აცხადებს, რომ არ ჰგონია, კლიმატის ცვლილებები ადამიანის ბრალი იყოს).

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, მიკრობ-



გრეტა ტუნბერგი, 2003 წელს, სტოკჰოლმში დაიბადა. დაახლოებით, 8 წლის ასაკში გაიგო პირველად კლიმატის ცვლილების პრობლემის შესახებ და მას შემდეგ თანამართლობდა დანიშტარებას. მოგვიანებით, გოგონას ასპერგერის სინდრომი დაუდგინდა. აღნიშნული სინდრომის მქონე ბავშვებს, ნორმალური ინტელექტისა და განვითარებული გეგმვების ფონზე, სოციალური ურთიერთობების დეფიციტი, კომუნიკაციის სირთულე და უცნაური, ექსცენტრიული ქცევები ახასიათებს. TEDxSTOCKHOLM-ზე გამოსვლისას თინეიჯერმა აქტივისტმა პირველად ისაუბრა თავის დაავადებაზე და განაცხადა, რომ ის მხოლოდ მაშინ საუბრობს, როცა საჭიროა და ახლა სწორედ ლაპარაკის დროა.

ლოგ „ტიტერში“, გაერო-ს კლიმატურ სამიტზე გრეტა ტუნბერგის გამოსვლა გააზიარა წარწერით – „ჩანს, რომ ის ძალიან ბედნიერი ახალგაზრდა გოგონაა, ნათელი და მშვენიერი მომავლის მოლოდინში, ისეთი კარგი სანახავია“. მალევე, გრეტამ „ტიტერში“ საკუთარი ბიოგრაფია ჩაასწორა და დაწერა: „ძალიან ბედნიერი ახალგაზრდა გოგონა, ნათელი და მშვენიერი მომავლის მოლოდინში“.

მომზადდა ლალი ჯვალაძემ

ახალი ახგაბი

საქართველო EURAXESS-ის წევრია



საქართველო ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია EURAXESS-ის წევრი ოფიციალურად გახდა. შესაბამის დოკუმენტს ხელი ბრიუსელში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა, **ზვიად გაბისონიამ** და ევროპული კომისიის კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორის მოადგილემ, **პატრიკ ჩაილდმა** მოაწერეს.

EURAXESS-ში განეწესება ქართველ მეცნიერებს საშუალება აძლევს ჰქონდეთ პირდაპირი წვდომა:

- მსოფლიოს 500-ზე მეტ საერთაშორისო და შიდა ეროვნულ სამეცნიერო ფონდების გრანტებთან;
- 15 000-ზე მეტ მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და კვლევებით დაინტერესებულ ბიზნესთან;
- 40-ზე მეტი ქვეყნის რამდენიმე მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსზე.

ევროპულ პროგრამა EURAXESS-ში ქვეყნის განეწესება ხელს შეუწყობს საქართველოს მჭიდრო ინტეგრირებას

ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით სივრცეში, მეცნიერთა კარიერულ განვითარებას, ქვეყნის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. საქართველოს მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ქსელის ყველა სერვისი, რომელიც აშუაგდამ ამ ევროპული პროგრამის წევრი ქვეყნების მეცნიერთათვის არის ხელმისაწვდომი.

პანევროპულ პროგრამა EURAXESS-ში საქართველოს გაერთიანების შედეგად, გაიზრდება ქართველ და ევროპულ მკვლევრებს შორის მობილობა; გაიზრდება შესაძლებლობები ქართველი მკვლევრების კარიერული ზრდისათვის; ამაღლება უცხოელი სტუდენტების და მკვლევრების საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლით დაინტერესება.

EURAXESS-ში განეწესება, საქართველოს ისტორიაში პირველად, ქართული ორგანიზაცია იქნება „Horizon 2020“-ის პირდაპირი ბენეფიციარი და კოორდინატორი. საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივა გაჩნდება მეცნიერების მენეჯმენტის განვითარებისთვის. ქსელში გაერთიანებული ქვეყნების მკვლევრებისთვის საქართველო გახდება ახალი მიზიდულობის ცენტრი სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად.

საქართველო ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია EURAXESS-ში ოფიციალურად განეწესება უცხოელი მეცნიერები ეხმარებიან და ქართველ კოლეგებს წარმატება ულოცავენ.



ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი **ტიციანო კამპორესი** ბირთვული კვლევების ორგანიზაციაში CERN მოღვაწეობს და CMS ექსპერიმენტის ხელმძღვანელია, იგი მიიჩნევს, რომ გუშინდელი მოვლენა, EURAXESS-ში საქართველოს განეწესება, განათლებების ხელშეწყობისა და ქართველი მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის საქმეში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

„EURAXESS-ში განეწესება დაეხმარება როგორც ქართველ მეცნიერებს, ასევე სტუდენტებს, ჰქონდეთ წვდომა ევროპული საგანმანათლებლო ინსტიტუტების სამეცნიერო ქსელებსა და უახლეს ინფორმაციაზე, რაც საშუალებას მისცემს მათ, მეტად ინტეგრირდნენ ევროპულ აკადემიურ სივრცეში. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს,“ – აღნიშნა ტიციანო კამპორესიმ.

„მინდა მოგილოცოთ ეს წარმატება. ამ ხელმოწერით ქართველ მეცნიერებს ექნება წვდომა EURAXESS-ის რესურსებზე და იმედი მაქვს, ეს მოვლენა ხელს შეუწყობს საქართველოში სამეცნიერო საქმიანობის გაზრდას. გილოცავთ კიდევ ერთხელ,“ – განაცხადა **სატომი მიჰარამი**, იაპონიის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველმა, მაღალი ენერჯების ამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაცია KEK-ის ნაწილაკებისა და ატომების შემსწავლელი ინსტიტუტის პროფესორმა.

საერთაშორისო ფორუმი

„დიდი ბრიტანეთი/საქართველო 2019“-ის სეზონის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „მეზღუდავი შესაძლებლობები: სწორი ნაბიჯების გადადგმა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ლევან ხარატიშვილმა**.

ფორუმზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის: ინკლუზიური ხელოვნება, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და განათლებაზე, კულტურა-სა და სპორტზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის ზრდა.

ფორუმში მონაწილეობდნენ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ბრიტანეთიდან, სომხეთიდან და უკრაინიდან. მათ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს და იმსჯელეს ინკლუზიური საზოგადოების ხელოვნების საშუალებით განვითარების გზებზე.

საერთაშორისო ფორუმი – „მეზღუდავი შესაძლებლობები: სწორი ნაბიჯების გადადგმა“ პროგრამის „ბრიტანეთი/საქართველო 2019“ ნაწილია, რაც გულისხმობს სხვადასხვა პროექტის განხორციელებას კულტურის, განათლების, სპორტისა და ბიზნესის სფეროში. აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: მრავალფეროვნება, ლიაობა, ინკლუზია და ხელმისაწვდომობა.

**გამომცემლობა „ახალი განათლება“
გთავაზობთ**



5 ლარი




12 ლარი



10 ლარი



9 ლარი



„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



15 ლარი

პროვანული გამოცდების სიგულაშია
გიორგი მიქაშაძის მიერ, არჩილ თაბუკაშვილი, უნდასტოვებელი მასალები



19 ლარი

გავიგეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)

ნიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დაგეგმულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ალგებრის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.



19 ლარი



ნიგნი I
V-XVII სს
მწერლობა

**ტესტები ქართულ
ლიტერატურაში**

ნიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

პროვანული გამოცდისათვის

ნიგნი III
XIX საუკუნის
მწერლობა



თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირჩხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეამინის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23



7 ლარი

8 ლარი




4 ლარი

თამაზ მანაძე
პროვანული გამოცდისათვის
შემსწავლელთათვის

12 ლარი

თამაზ მანაძე
კომპლექსური
ტექსტი და ანალიტიკური
გზამკვლევი

**პროვანული უნარები
თეორიული მასალა**



15 ლარი

**პროვანული უნარები
ტესტები**



15 ლარი

მასწავლებლის პიკეტი

**გაკურსულაქარის გამომცემლობა
ნაგვილი და მოგონილი აბეზი**



სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცემა.



სერიის ფასი – 32.40ლ

**ინოვაციური გაკვეთილები
დაწყებით კლასებში**



6.50 ლარი

**ქართული (I-VI კლასი)
მასწავლებელთა გამომცემლობისთვის**



11 ლარი

**სწავლის დაწყების
პედაგოგებისთვის**



14 ლარი

**ინტერაქტიური
მეთოდების კრებული**



6 ლარი

**კათედრის გაგების
პროგრამები**



6 ლარი



პროვანული სრულად ფარავს პროგრამის I-IV კლასების კომპლექსური გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და გეომეტრიის რეკვიზიტებით.

15 ლარი

